ახალი უნივერსიტეტი

9 თებერვალი, ოთხშაბათი, 2011 წ. №2 (2113)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

რად ულირდათ უნივერსიტეტი პატრიოტ მეცნიერებს

მაია ტორაძე

ქართველი ხალხისთვის უნივერსიტეტის დაარსება რიგითი უმაღლესი სასწავლებლის შექმნას არ ნიშნავდა. ეს იყო ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის აუცილებელი ნაბიჯი, რომლისთვისაც ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე იბრძოდა, რადგანაც იცოდა — ქვეყანასა და ერს სწორედ ქართული უნივერსიტეტი დაუმკვიდრებდა ადგილს მსოფლიო ცივილიზებულ საზოგადოებაში.

ივანე ჯავახიშვილის თაოსნობითა და ქართველ ინტელექტუალთა მცირე ჯგუფის ძალისხმევით 1918 წლის 8 თებერვალს საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა — დაარსდა ქართული უნივერსიტეტი — ამიერკავკასიის რეგიონში პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებელი, რომელმაც ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასთან ერთად დაიწყო მეცნიერებისა და განათლების აღორძინება, რამაც, თავის მხრივ, საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეას ჩაუყარა საფუძველი.

უნივერსიტეტის დაარსების დღეს ყოველთვის აღნიშნავს საუნივერსიტეტო საზოგადოება, რომელიც მუდამ ხაზს უსვამს უნივერსიტეტში წახალისებულ ისტორიული ტრადიციებისა და თანამედროვეობის სინთეზის პროცესს. წლევანდელი იუბილე, დაარსების 93-ე წლისთავი, სწორედ იმით იყო აღსანიშნავი, რომ საინტერესო საარქივო მასალების გამოფენით ფარდა აეხადა უნივერსიტეტის რეპრესირებულ-პროფესორთა შესახებ იმ სიმართლეს, რაზეც აქამდე მხოლოდ გადმოცემით საუბრობდნენ. თანამედროვე საზოგადოება წარსულის ამ ლაქას, ალბათ, იმ თვალით შეხედავს, რომლითაც, წესით, კარგად უნდა შეამჩნიოს – რად ულირდათ უნივერსიტეტი პატრიოტ მეცნიერებს. ამ პათოსის შენარჩუნება არც დღეს იქნება ურიგო იმ საზოგადოებისთვის, რომლის წარმომადგენლებიც უნივერსიტეტის წიაღში ან ასწავლიან, ან სწავლობენ. სასურველია, თუკი სწორედ ამ კუთხით იმუშავებს ადამიანთა ცნობიერებაზე იმ ღონისძიებების გამართვა, რაც 2011 წლის 8 თებერვალს თსუ-ის მეორე კორპუსის ფოიეში მოეწყო.

მე-5 გვერდზე

იურიდიული ფაკულტეტი 90 წლისაა

თსუ-ის იურიდიულმა ფაკულტეტმა დაარსებიდან 90 წლის იუბილე, კვირეულის ფარგლებში, არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებით აღნიშნა და საკუთარი პოტენციალის ყოველმხრივ წარმოჩენით კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ რა ფასი აქვს მის „წონას“ უნივერსიტეტის წიაღში და მის ფარგლებს გარეთაც საერთაშორისო მასშტაბით. ამაზე მეტყველებს რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის საზღვარგარეთ ვიზიტებისას მოსმენილი შთაბეჭდილებები თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტთან დაკავშირებით: „ევროპაში თსუ-ის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუმრობისას ყველა ხაზგასმით გვეუბნებოდა, რომ ჩვენგან წასული სტუდენტები, რომლებიც მათთან იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლას აგრძელებენ, განსაკუთრებით წარჩინებულნი არიან. საამაყო და სასიამოვნო გახლდათ ამის მოსმენა. ჩვენი სტუდენტების წარმატება საზღვარგარეთ იმაზე მეტყველებს, რომ თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლების მაღალი სტანდარტებია და ეს უკვე წლების განმავლობაში გრძელდება“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა. ასე რომ, იურიდიული ფაკულტეტი მისი პროფესურის ინტელექტუალური პოტენციალისა და სწავლების მაღალი ხარისხის შესახებ გავრცელებულ ხმებს ნამდვილად ამართლებს და ამაში დიდი წვლილი მიუძღვით თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ყოფილ დეკანს დავით კერესელიძეს, რომლის საქმიანობის დროსაც ფაკულტეტზე მნიშვნელოვანი სიახლეები განხორციელდა და ამჟამინდელ დეკანს ირაკლი ბურდულს, რომელიც წარმატებით ართმევს თავს — ფაკულტეტს ლიდერობა შეუნარჩუნოს. ამ აზრს ამყარებს ფაკულტეტის დაარსებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

ლადო ჭანტურიას წიგნის პრეზენტაცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის (2000-2004 წწ.), თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის ლადო ჭანტურიას წიგნი „კავკასიისა და ცენტრალური აზიის კერძო სამართალი“ გერმანულ ენაზეა დაწერილი. ლადო ჭანტურიას ნაშრომი შეიცავს ინფორმაციას პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კერძო სამართლის წარმოშობისა და განვითარების შესახებ. ავტორი აანალიზებს, თუ რა მდგომარეობაა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში კერძო სამართლის მიმართულებით და, ამ მხრივ, რა შედეგს მიაღწიეს მათ ბოლო 20 წლის განმავლობაში. წიგნის შესახებ გერმანიაში უკვე არაერთი რეცენზია დაიბეჭდა. გერმანელმა იურისტებმა პროფესორ ლადო ჭანტურიას ნაშრომს დადებითი შეფასება მისცეს.

ლადო ჭანტურია სამი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა პროექტს ბრემენის უნივერსიტეტში, რომლის მიზანიც ცენტრალური აზიისა და კავკასიის სახელმწიფოების კერძო სამართლის შესწავლა გახლდათ და რომლის ფარგლებშიც ეს წიგნი გამოიცა. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ამ ტიპის ნაშრომი გერმანულ ენაზე შესრულდა. წერის პროცესში პროფესორი ლადო ჭანტურია, დამხმარე ჯგუფთან ერთად, პოსტსაბჭოთა 8 სახელმწიფოს წმყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობდა. როგორც ავტორმა პრეზენტაციაზე განაცხადა, წიგნზე მუშაობა საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებმა დამოუკიდებლობა ერთსა და იმავე დროს მოიპოვეს, კერძო სამართლის განვითარება მაინც სხვადასხვა მიმართულებითა და ტემპით დაიწყეს. შესაბამისად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ამჟამად, კერძო სამართლის მიმართულებით, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ვითარებაა.

„ნებისმიერი მართლწესრიგის, სამართლის სისტემის ფუნქციონირება დამოკიდებულია კარგად განათლებულ იურისტებზე,

მე-3 გვერდზე

თსუ-ის დელეგაციის სამუშაო ვიზიტი ევროპაში
მე-2 გვერდზე

თანამშრომლობის მემორანდუმი ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან
მე-2 გვერდზე

თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდება პალიატიური მზრუნველობისთვის
მე-2 გვერდზე

ორგანული სინთეზი ქიმიასთან
მე-4 გვერდზე

„ისტორიის“ თანამედროვე გააზრება
მე-4 გვერდზე

მერაბ კოკოჩაშვილის გზა
მე-6 გვერდზე

ჩვენ გადავლახავთ „ზღვარს“...
მე-7 გვერდზე

ლექციები წეროვანის სკოლის მოსწავლეთათვის
მე-7 გვერდზე

თსუ-ის დელეგაციის სამუშაო ვიზიტი ევროპაში

17–26 იანვარს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაცია რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის ხელმძღვანელობით სამუშაო ვიზიტით ეწვია პარტნიორ უნივერსიტეტებს და ორგანიზაციებს ევროპაში (გერმანია, ნიდერლანდების სამეფო, უნგრეთი). ვიზიტის მიზანი საერთაშორისო ურთიერთობის გაღრმავება და სამომავლო ერთობლივი პროექტების დაგეგმვა იყო.

„ვიზიტმა ნაყოფიერად ჩაიარა, გავმართეთ შეხვედრები სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან, დაიგეგმა მრავალი საინტერესო ერთობლივი პროექტი. ახლა ჩვენი მიზანია ენის სწავლების გაძლიერება, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ საშუალება გამოიყენონ ყველა ეს საერთაშორისო კონტაქტი და აქტიურად ჩაერთონ შემუშავებულ პროექტებში“, – აღნიშნა ვიზიტის შეფასებისას ალექსანდრე კვიტაშვილმა.

გერმანიაში ვიზიტისას დელეგაციის წევრებმა შეხვედრები გამართეს მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტში, ლუდვიგ მაქსიმილიანის სახელობის მიუნხენის უნივერსიტეტსა და შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტში. შედგა შეხვედრა კომპანია HEISS Gmb-ის წარმომადგენლებთან, რომლებიც აკადემიური პროცესების მართვის ელექტრონული სისტემის (N.O.A.H.) თსუ-ს საჭიროებებისათვის ადაპტაციის პროექტზე მუშაობენ.

დელეგაციის წევრებმა გერმანიიდან უნგრეთში გადაინაცვლეს და „ღია საზოგადოების“ ინსტიტუტის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა გამართეს. 21 იანვარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმიც გაფორმდა. მემორანდუმს თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ვიცე რექტორმა ლივიუ მატეიმ მოაწერეს ხელი. თანამშრომლობა გულისხმობს ერთობლივი კვლევითი პროექტების და სამეცნიერო მუშაობის განხორციელებას, სტუდენტებისა და პროფესორების გაცვლას. დაარსების დღიდან (1991 წ.) ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, უმაღლეს სასწავლებელს ყოველწლიურად გაცვლითი პროგრამებით 40-მდე ქართველი სტუდენტი სტუმრობს. კურუკულუმების რესურს ცენტრში ქართველ პროფესორებს შესაძლებლობა აქვთ დახვეწონ და შეიმუშაონ თავიანთი სამუშაო კურუკულუმები, გარდა ამისა უნივერსიტეტის წარმომადგენლები მონაწილეობენ სპეციალურ პროგრამათა ოფისის მიერ დაგეგმილ ტრენინგებსა და ვორქშოპებში.

ვიზიტის ფარგლებში თსუ-ის დელეგაცია ნიდერლანდების სამეფოსაც სტუმრობდა. ჰოლანდიის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტსა და ლეიდენის უნივერსიტეტში სასწავლებლების წარმომადგენლებმა განიხილეს თანამშრომლობის პრიორიტეტული სფეროები.

„ლეიდენი გახლავთ დიდი ტრადიციების მქონე 435 წლის უნივერსიტეტი. შეხვედრისას უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ჩვენთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს. ისინი დაინტერესებული არიან გაცვლითი პროგრამებით ქართველოლოგიასა და არქეოლოგიაში, ამ სფეროს წარმომადგენლებისთვის ეს ძალიან საინტერესო შემოთავაზებაა. იგეგმება დელეგაციის ჩამოსვლა და მაისის ბოლოს უკვე კონკრეტული სამომავლო გეგმების შემუშავებას დავიწყებთ“, – განაცხადა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

ვიზიტის დასასრულს დელეგაციის წევრები მაასტრიხტის უნივერსიტეტშიც იმყოფებოდნენ. 2009 წელს ორ უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების განხორციელებისა და ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის ამოქმედებისათვის სამომავლო ნაბიჯები დაიგეგმა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაასტრიხტის უნივერსიტეტის დელეგაციას აპრილის ბოლოს უმასპინძლებს.

საზოგადოებასთან
ურთიერთობის
დეპარტამენტი

მოკლედ

თანამშრომლობის მემორანდუმი ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან

1 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის ინსტიტუტსა და საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი მოაწერეს კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა, თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა და ევროპისმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა ნინო ლაპიაშვილმა.

მემორანდუმის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი და თსუ-ის ევროპისმცოდნეობის ინსტიტუტი შეთანხმდნენ ითანამშრომლონ 4 ძირითადი პუნქტის გათვალისწინებით, რის საფუძველზეც გამოთქვამენ მზადყოფნას, მათ ხელთ არსებული ან სამომავლოდ მოძიებული მატერიალური და ადამიანური რესურსების გამოყენებით ორგანიზება გაუწიონ ერთობლივ ღონისძიებებს. მემორანდუმი მიზნად ისახავს მხარეების საკანონმდებლო და საკონსულტაციო პოტენციალის აქტიურად გამოყენებას საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების აქტუალურ საკითხებზე.

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი თსუ-ის ევროპისმცოდნეობის ინსტიტუტს ექსპერტულ მხარდაჭერას გაუწევს მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მომზადებაშიც.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურასა და სტუდენტობისთვის მნიშვნელოვანია აქტიურად ჩაერთონ ევროინტეგრაციის საკითხებში, ჩვენ საზოგადოებას ექსპერტთა ჯგუფს ვთავაზობთ, რომელიც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას პროფესიულ ანალიზს წარმოადგენს. მიმაჩნია, ეს თანამშრომლობა ორმხრივად დადებითი და შედეგიანი იქნება“, – აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

„მემორანდუმის მიზანია საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა და თსუ-ის ევროპისმცოდნეობის ინსტიტუტმა პრაქტიკულად ითანამშრომლონ მთელი რიგი პოლიტიკური და სამართლებრივი საკითხების გადაჭრისას და, თუნდაც, თავისუფალი სავაჭრო და ეკონომიკური ზონის საკითხის, ასევე, ევროსტრუქტურებში გაერთიანებისა და სამომავლო პერსპექტივების დასახვისას. დღეს ევროკავშირთან ინტენსიურ კონსულტაციებსა და მოლაპარაკებებში ვართ ჩართულნი. ჩვენი ქვეყნის განვითარების ამ მნიშვნელოვან ეტაპზე საზოგადოებისა და ექსპერტთა მაქსიმალურ ჩართულობას ვსაჭიროებთ. ამ კავშირების გაღრმავებისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები აქტიურად ზრუნავენ“, – განაცხადა პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა.

ღონისძიებას საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდება პალიატიური მზრუნველობისთვის

„დოქტორი ფრენკ დაგლას ფერისი პალიატიური მზრუნველობის შესახებ ჯერ კიდევ მაშინ საუბრობდა, როცა საქართველოში ამ დარგ ზე არაფერი იცოდნენ. დარგის განვითარებაში მან განსაკუთრებული წვლილი შეიტანა და მისივე შეფასებით, მედიცინის ამ სფეროში მიღწეული შედეგების თანახმად ჩვენ დღეს რეგიონში ლიდერები ვართ. მას სამართლიანად ენიჭება თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდება“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა ბატონ ფერისისთვის ახალი წოდების მინიჭების ცერემონიალზე.

XXI საუკუნის დამდეგი მოსახლეობის გლობალური დაბერებით, ონკოლოგიურ სნეულებათა რიცხვის ზრდით, შიდსის გავრცელებით, ქრონიკული პროგრესირებადი დაავადებების რაოდენობის მატებით აღინიშნა. ყოველივე ამის შედეგად, ყალიბდება იმ ავადმყოფთა დიდი ჯგუფი, რომლებიც დაავადებით გამოწვეული მტანჯველი სიმპტომების გამო ადეკვატურ, კომპლექსურ სამედიცინო და სოციალურ მზრუნველობას საჭიროებენ. სწორედ ამ საქმეს ემსახურება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ახალი მიმართულება — პალიატიური მზრუნველობა. პალიატიური ეწოდება აქტიურ, მრავალპროფილურ მზრუნველობას იმ პაციენტებზე, რომელთა დაავადება მკურნალობას აღარ ექვემდებარება. მისი უპირველესი ამოცანაა ტკივილისა და სხვა პათოლოგიური სიმპტომების მოხსნა და ავადმყოფთა სოციალური, ფსიქოლოგიური და სულიერი მხარდაჭერა. პალიატიური მზრუნველობის მიზანია ავადმყოფებისა და მათი ოჯახების ცხოვრების უკეთესი ხარისხის მიღწევა.

1 თებერვალს ამერიკელ ექიმს, პალიატიური მედიცინის ინსტიტუტის საერთაშორისო პროგრამის დირექტორს ფრენკ დაგლას ფერისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა.

დოქტორი ფერისი არის ნიუ-იორკის ღია საზოგადოების ინსტიტუტის საჯარო ჯანმრთელობის ქსელის პროგრამის საერთაშორისო პალიატიური მზრუნველობის ინიციატივების კონსულტანტი, ნორსვესტერნის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის ბაზაზე შექმნილი პროექტის — „პალიატიურ და სიკვდილისწინა მზრუნველობის შესახებ განათლების“ თანახელმძღვანელი (ჩიკაგო). ავტორი და რედაქტორია პუბლიკაციის — „პალიატიური მზრუნველობის ჩატარების მოდელი: დაფუძნებული ნაციონალურ პრინციპებსა და პრაქტიკის ნორმებზე“, რისთვისაც მეცნიერს კანადის მთავრობამ 2003 წლის მაისში მისი უდიდებულესობის, დედოფალ ელისაბედ II-ის ოქროს მედალი მიანიჭა, ხოლო კანადის ასოციაციაიამ 2005 წლის სექტემბერში პალიატიური მკურნალობის ჰოსპისების ეროვნული ლიდერობის ჯილდო გადასცა.

„პალიატიური მზრუნველობის საერთაშორისო ინიციატივების პროგრამის“ დირექტორის მერი კალაევის და დოქტორ ფრენკ დაგლას ფერისის სახელს უკავშირდება საქართველოში პალიატიური მედიცინის მიმართულების დანერგვა. მათ საქართველოში პალიატიური მზრუნველობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ოთარ თოიძის მიერ ხელმოწერილი მადლობის სერტიფიკატები გადაეცათ.

დოქტორი ფერისი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული ექსპერტია პალიატიურ მედიცინაში. იგი საქართველოში პირველად 2003 წელს ჩამოვიდა და მონაწილეობა მიიღო ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში „ქართულ-ამერიკული სამეცნიერო ურთიერთობის 10 წლისთავი“. ამ დროს საქართველოში პალიატიური მზრუნველობა პირველ ნაბიჯებს დგამდა. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო ქართველი სპეციალისტების ინტენსიური თანამშრომლობა დოქტორ ფერისსთან. მან საკუთარი სახსრებით პალიატიური მზრუნველობის 2 საერთაშორისო სპეციალისტი მოამზადა: თამარ რუხაძე — საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის პალიატიური მზრუნველობის სამსახურის ხელმძღვანელი, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტზე პალიატიური მზრუნველობის მანდატორული და არჩევითი სასწავლო კურსების ხელმძღვანელი და იოსებ აბესაძე — არასამთავრობო ორგანიზაცია „ონკოპრევენციის ცენტრის“ ჰოსპისის ხელმძღვანელი.

„დოქტორ ფერისის ახლანდელი ვიზიტი უპრეცენდენტოა. ამერიკული მხარისა და ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ დაფინანსებით საქართველოში პალიატიური მედიცინის 7 სპეციალისტი ჩამოვიდა, რომლებიც 3 კვირის განმავლობაში მოამზადებენ და კონსულტაციებს გაუწევენ ქართველ ექიმებს პალიატიური მზრუნველობის პროგრამის ეფექტური განხორციელების თვალსაზრისით. ორი დღის განმავლობაში 100-მდე ექიმმა გაიარა საკონსულტაციო კურსები უცხოელ სპეციალისტებთან, ხოლო დარჩენილი ორი კვირა ლოგინად ჩავარდნილ პაციენტებთან კონტაქტს და მათზე პალიატიურ მზრუნველობას მოხმარდება. დოქტორ ფერისს სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავების მხრივ საქართველოსთან მიმართებაში დიდი სამომავლო პერსპექტივები აქვს. მას უკვე მომზადებული აქვს ერთობლივი სადოქტორო პროგრამა პალიატიურ მედიცინაში“ — განაცხადა პალიატიური მზრუნველობის ეროვნული პროგრამის კოორდინატორმა, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ დიმიტრი კორძაიამ.

წელიწადში, მთელ მსოფლიოში, კვდება 58 მილიონი ადამიანი (45 - მილიონი განვითარებად ქვეყნებში, 13 მილიონი - განვითარებულ ქვეყნებში). გამოკვლეულია, რომ მინიმუმ 60% (35 მილიონი) კვდება ხანგრძლივი, მძიმე დაავადებისგან და საჭიროებს პალიატიურ მზრუნველობას.

თანამედროვე შეხედულებით, პალიატიური მკურნალობა ნებისმიერი ქრონიკული უკურნებელი სნეულების შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ. დღეისათვის აღიარებულია, რომ პალიატიური მზრუნველობა ბოლომდე ღირსეული სიცოცხლის ფილოსოფიას ამკვიდრებს, ისწრაფვის, რაც შეიძლება დიდხანს უზრუნველყოს ავადმყოფის აქტიური ცხოვრების წესი და გამოხატოს პაციენტის ოჯახის მხარდაჭერა.

საქართველოში პალიატიური მზრუნველობის საქართველოს ეროვნული პროგრამა საქართველოს პირველი ლედის — სანდრა რულოვსის პატრონაჟით ხორციელდება.

მოამზადა თამარ დადიანმა

იურიდიული ფაკულტეტი 90 წლისაა

პირველი გვერდიდან

რადგან კარგი კანონი ცუდი იურისტების ხელში შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული და, პირიქით, ძალიან ბევრი მაგალითი არსებობს ისტორიაში იმისა, რომ არასრულყოფილი კანონების მიუხედავად, კარგი იურისტების ხელში სწორი და განვითარებული სამართალი ჩამოყალიბებულა. ამდენად, წიგნზე მუშაობისას ჩემი მიზანი მხოლოდ კანონის ნორმების შესწავლა არ ყოფილა, მნიშვნელოვანი იყო, თუ როგორ იყენებენ პოსტსაბჭოთა ქვეყნები კანონის ნორმებს სამართლებრივ პრაქტიკაში. მინდა გითხრათ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების უმეტესობაში, საქართველოსგან განსხვავებით, სასამართლო გადაწყვეტილებები არ ქვეყნდება. სასამართლო პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია მიუწვდომელია როგორც იურისტებისთვის, ასევე, საზოგადოებისათვის. გამონაკლისია საქართველო, სადაც 1999 წლიდან სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია. ასევე, გამოვყოფ ყაზახეთსა და აზერბაიჯანს, სადაც ეს პროცესი უკვე დაწყებულია. რაც შეეხება დანარჩენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, ამ სახელმწიფოებზე მუშაობისას სასამართლო გადაწყვეტილებების მიღება ან სხვა სამართლებრივი დოკუმენტების მოპოვება, რაც აუცილებლად უნდა ასახულიყო ჩემს წიგნში, ზოგჯერ არალეგალური გზითაც გვიწევდა“, — განაცხადა წიგნის ავტორმა ლადო ჭანტურიამ.

წიგნში „კავკასიისა და ცენტრალური აზიის კერძო სამართალი“ ერთ-ერთი თავი მთლიანად ეთმობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისა და ევროპის სახელმწიფოების იურიდიული განათლების სისტემების ერთმანეთთან შედარებას. ავტორის განმარტებით, ევროპაში იურიდიული განათლების საკითხებს, ძირითადად, იუსტიციის სამინისტრო აწესრიგებს, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კი — განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რის გამოც ამ სახელმწიფოებში იურიდიული განათლება ნაკლებად არის პრაქტიკაზე ორიენტირებული და, ფაქტობრივად, უნივერსიტეტი მომავალ იურისტს ვერ აძლევს იმ ცოდნას, რაც მას პრაქტიკული საქმიანობისთვის სჭირდება.

„ამ მხრივ საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა და ვითარება რადიკალურად განსხვავებულია. როგორც სხვა მრავალ საკითხში, იურიდიული განათლების სფეროშიც საქართველო რეფორმატორის როლს თამაშობს და ნერგავს სწავლების მეთოდს, რომელიც მომავალი იურისტებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზეა ორიენტირებული“, — აღნიშნა ლადო ჭანტურიამ.

წიგნის პრეზენტაციაზე მან თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკას მისივე ავტორობით გამოცემული რამდენიმე წიგნიც უსახსოვრა. ესენია: „კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობები საკორპორაციო სამართალში“, „სამართალი, ეკონომიკა და კეთილდღეობა“ და რუსულ ენაზე შესრულებული სახელმძღვანელო „სამოქალაქო სამართლის საფუძველზე ზოგად ნაწილში“. მან ბიბლიოთეკას გადასცა, ასევე, ბრემენის უნივერსიტეტის ორი საერთაშორისო კონფერენციის მასალებიც, რომლის ერთ-ერთი გამომცემელიც თავად გახლავთ.

იურიდიული ფაკულტეტის II სტუდენტური კონფერენცია

აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, ახალგორის რაიონი... საქართველო პატარაა, თუმცა, სამწუხაროდ, ბოლო წლებში კონფლიქტის ზონების რიცხვი გაიზარდა. რუსეთის სამხედრო აგრესია ჩვენთვის სავალალო შედეგებით დასრულდა, საინფორმაციო ომს კი იგი დღემდე განაგრძობს. საქართველოში არსებულ კონფლიქტურ ზონებთან დაკავშირებით თსუ-ში გამართულ ღონისძიებებზე არაერთხელ მოგვისმენია მოსაზრება, რომ სტუდენტობა ამ საკითხებთან დაკავშირებით პასიურობს, თუმცა ეს სიმართლეს არ შეესაბამება.

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის 90 წლის იუბილეს ფარგლებში გამართულ II სტუდენტურ კონფერენციაზე, ამ თემასთან დაკავშირებით, იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრმა ქეთევან მამადაშვილმა წარმოადგინა მოხსენება — „აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება-არაღიარების პრობლემა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში“. ნაშრომის შესავალში ავტორი საერთაშორისო მასშტაბით თვითაღიარებული რესპუბლიკების პრობლემაზე საუბრობს, თუმცა ძირითად ყურადღებას აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტურ ზონებზე ამახვილებს. ქეთევან მამადაშვილი საკუთარ პოზიციასაც გამოხატავს და აღნიშნავს, რომ „2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ უკვე სამხრეთ ოსეთის საკითხიც საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, განურჩევლად ეროვნებისა, მტკივნეული გახდა. ეს შეეხება იმ უცხოელებსაც, რომლებიც აგვისტოს მოვლენების დროს ამაყად ამბობდნენ: „დღეს მეც ქართველი ვარ!“ თუმცა, რაც არ უნდა მწარე იყოს სიმართლე, ზოგიერთის მხრიდან მხოლოდ აღშფოთების გამოვლენის ფაქტი არ კმარა, უფრო აქტიური მოქმედებაა საჭირო“.

ქეთევან მამადაშვილი საკუთარ ნაშრომში დაწვრილებით აღწერს რუსეთის ქმედებებს, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისოდ მიღებულ ნორმებთან, ასევე, საუბრობს კოსოვოს პრეცედენტზეც, რომლის გამოყენებასაც თვითაღიარებული რესპუბლიკები თავისიოდ ცდილობენ. ახალგაზრდა მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმ განსხვავებებზეც, რაც კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების მოტივაციას გამოარჩევს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის უკანონოდ აღიარებისგან. ავტორი საუბრობს კონფლიქტების მოუგვარებლობის მიზეზებზეც და ორ ასპექტს გამოყოფს — მატერიალურს და ფსიქოლოგიურს. „მატერიალური ფაქტორი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია შესაბამისი სამხედრო და ეკონომიკური რესურსები ტერიტორიული პრობლემის გადასაწყვეტად, ფსიქოლოგიური ფაქტორი კი გულისხმობს, რომ სახელმწიფოს და საზოგადოებას არ აქვს ნათლად წარმოდგენილი, თუ როგორ უნდა მოგვარდეს კონფლიქტი“, — აღნიშნულია ნაშრომში.

დასკვნით ნაწილში კი ქეთევან მამადაშვილი კონფლიქტების საერთაშორისო მნიშვნელობაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ეს პრობლემა აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ, ზოგადად, მსოფლიოსთვის, რადგან რუსეთის იმპერიალისტური ქმედებები ყველასთვის საფრთხეს წარმოადგენს.

ქეთევან მამადაშვილის ნაშრომის ჩათვლით თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის II სტუდენტურ კონფერენციაზე 12 ნაშრომი იყო წარდგენილი. აღსანიშნავია, რომ კონფერენციაზე სტუდენტებმა საკუთარი მოხსენებები პირველი, შესარჩევი ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ წარადგინეს. ესენია: ქეთევან ქიტოშვილის — „საკუთრება, როგორც ბუნებითი უფლება“, ანი ფარჯიანის — „სამართლის გლობალიზაცია: არის თუ არა სამართალი სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი“, გიორგი ფარულავას — „აბსოლუტიზმის ფორმები“, მარეხი კვიციანის — „ნივთების კლასიფიკაცია ძველი ქართული და რომაული სამართლის მიხედვით“, ნიკოლოზ აგლაძის — „სამართლისა და სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების ზოგიერთი თავისებურება ძველ აღმოსავლეთში“, ნინო უტიაშვილის — „საერთაშორისო სამართლებრივი ცნობა საერთაშორისო სამართალში“, თამარ ქოქრაშვილის — „საერთაშორისო სამართლებრივი ცნობა საერთაშორისო სამართალში – ცნობის სამართლებრივი მნიშვნელობა“, გიორგი შაქარაშვილის — „საერთაშორისო სამართლებრივი ცნობა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში“ და ვენერა დოდაშვილის — „საერთაშორისო სამართლებრივი ცნობა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში“.

სტუდენტების ნაშრომები შეაფასა სპეციალურად შერჩეულმა ჟიურიმ, რომელიც იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისგან იყო დაკომპლექტებული. ჟიურის წევრები გახლდნენ: ნუგზარ სურგულაძე, მარინე გარიშვილი, ელიზა ჩაჩანიძე და დავით ბოსტოღანაშვილი. უმაღლესი შეფასების მქონე მოხსენებები II სტუდენტური კონფერენციის გამოცემაში დაიბეჭდება.

აღსანიშნავია, რომ ეს მხოლოდ იურიდიული ფაკულტეტის II სტუდენტური კონფერენციის პირველი ეტაპი გახლდათ, მეორე ნაწილი თებერვლის შუა რიცხვებში გაიმართება. სტუდენტურ კონფერენციას ორგანიზებას „საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დემეტრე ეგნატაშვილი და ამავე საზოგადოების პრეზიდენტი დიმიტრი გეგენავა უწევენ.

გერმანული სახელმძღვანელოს ქართული თარგმანის პრეზენტაცია

იოჰანეს ვესელსისა და ვერნერ ბოილკეს სახელმძღვანელო „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება“ სისხლის სამართალში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წიგნი გახლავთ და საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო გერმანიაში, არამედ უცხოელ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორისაც. მისი ქართულ ენაზე გამოცემა ქართველი სტუდენტებისთვის მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ. „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება“ უკვე თარგმნილია პორტუგალიურ, ესპანურ, კორეულ და რუსულ ენებზე. ქართული გამოცემის თარგმანი ზურაბ არსენიშვილს ეკუთვნის, მისი სამეცნიერო რედაქტორი კი სამართლის დოქტორი ირაკლი დვალიძეა. მისი თქმით, სახელმძღვანელოს ქართული თარგმანი იურიდიული განათლების დაუფლებისა და გაღრმავების სურვილის მქონე მკითხველისთვის ერთობ საინტერესო ლიტერატურულ წყაროს წარმოადგენს. მისი ქართულ ენაზე გამოცემა ქართველი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ქართული სისხლის სამართალი, ჯერჯერობით, ისევ ინარჩუნებს გერმანული სამართლის გავლენას და ამ სახელმძღვანელოს საშუალებით ისინი გერმანული სისხლის სამართლებრივ აზროვნებას უკეთ გაიცნობენ.

„ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია“

თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე რომ აქტიური სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობს, ამას ფაკულტეტის 90 წლის იუბილეს კვირეულის ფარგლებში გამართული კიდევ ერთი წიგნის პრეზენტაციაც ადასტურებს. გურამ ნაჭყებიას წიგნი „ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია“ 2010 წელს გამოიცა, თუმცა ავტორმა იგი საზოგადოებას ოფიციალურად მიმდინარე წლის 3 თებერვალს წარუდგინა. ნაშრომი სამეცნიერო-კვლევითი ხასიათისაა და, ასევე, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის დამხმარე სახელმძღვანელოდაცაა გამიზნული. გურამ ნაჭყებიას ნაშრომი პირველია, რომელიც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესახებ ქართულ ენაზე დაიწერა. აღსანიშნავია, რომ, ამ მიმართულებით, 1997 წელს ალ. კვაშილავას ნაშრომი „დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემები“ გამოქვეყნდა, თუმცა იგი ძველი კანონმდებლობის საფუძველზეა აგებული.

მემორანდუმი მთავარ პროკურატურასთან

იურიდიული ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაბმულ იურისტებთან. ამის ადასტურებს 4 თებერვალს იურიდიულ ფაკულტეტსა და მთავარ პროკურატურას შორის გაფორმებული მემორანდუმი. ხელშეკრულების თანახმად, თანამშრომლობის ფარგლებში ერთობლივი საგანმანათლებლო ლექცია-სემინარების, მასტერ-კლასებისა და იმიტირებული სასამართლო პროცესების გამართვა იგეგმება. მასში მონაწილეობას უცხოელი ექსპერტებიც მიიღებენ. მემორანდუმი მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამების ერთობლივად განხორციელებასაც ითვალისწინებს.

თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტსა და მთავარ პროკურატურას შორის გაფორმებულ მემორანდუმს ხელი მოაწერეს ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა და მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ დავით საყვარელიძემ.

ამერიკელი პროკურორი თსუ-ში

თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტსა და საქართველოს მთავარ პროკურატურას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის აშშ-ის ოჰაიოს შტატის სამხრეთ ოლქის მთავარმა პროკურორმა ლექცია წაიკითხა. პროკურორი კარტერ სტიუარტი მომავალ ქართველ იურისტებს ამერიკელი პროკურორის როლის შესახებ ესაუბრა და ამერიკის შეერთებული შტატების პროკურატურების მუშაობის სისტემა გააცნო.

აშშ-ის ოჰაიოს შტატის სამხრეთ ოლქის მთავარმა პროკურორმა მომავალ ქართველ იურისტებთან საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემაზე — ნაფიცი მსაჯულის ინსტიტუტის მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

რომის სამართლის ძეგლების ქართული თარგმანის პრეზენტაცია

როდესაც XI საუკუნეში ევროპის უნივერსიტეტებში იუსტინიანეს „დიგესტები“ ხელახლა აღმოაჩინეს, ევროპული სამართლის განვითარების მიმართულება მნიშვნელოვნად შეიცვალა. თანამედროვე იურიდიული მეცნიერება რომის სამართალს დასავლური იურისპრუდენციის, განსაკუთრებით კი კერძო სამართლის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ განიხილავს. იუსტინიანეს „დიგესტები“ ლათინურიდან უკვე მრავალ ენაზეა გამოცემული. ქართულ ენაზე კი იგი თსუ-ის პროფესორმა ნუგზარ სურგულაძემ თარგმნა. პროფესორი მიიჩნევს, რომ იუსტინიანეს „დიგესტები“ თანამედროვე და ევროპული სამართლის ორგანული ნაწილია და ახლა, როდესაც ქართული სამართლის გეზი ევროპისკენაა მიმართული, ქართველი სტუდენტებისთვის იუსტინიანეს ნაშრომის გაცნობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. რომის სამართლის მეორე ძეგლი, რომელიც ნუგზარ სურგულაძემ ქართულ ენაზე თარგმნა გაიუსის „ინსტიტუციებია“. ეს არის სახელმძღვანელო, რომლითაც ძველ რომში სტუდენტებს ასწავლიდნენ და, დღესაც, იტალიელი სტუდენტებისთვის რომის სამართლის სპეციალური კურსი სწორედ ამ წიგნით იკითხება.

იუსტინიანეს „დიგესტებისა“ და გაიუსის „ინსტიტუციების“ ქართული თარგმანების პრეზენტაცია თსუ-ში 5 თებერვალს შედგა. გამოცემებს თან ერთვის შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი.

„საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში“

იურიდიული ფაკულტეტის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კვირეული ასისტენტ-პროფესორის გიორგი კახიანის წიგნის „საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში“ პრეზენტაციით დასრულდა. ეს არის საქართველოში პირველი სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც, ერთი მონოგრაფიის ფარგლებში, მთელი კანონმდებლობაა განხილული. მოქმედი კანონმდებლობის გარდა, ავტორმა წარსულში მოქმედი კანონმდებლობაც გააანალიზა და, თემის განხილვა 1918-1921 წლების საქართველოს კონსტიტუციით დაიწყო. ნაშრომში ძირითადი ნაწილი საკონსტიტუციო სასამართლოს ეთმობა, განხილულია მის უფლებამოსილებებთან დაკავშირებული საკითხები და მოცემულია მათი კლასიფიკაცია მიზნების მიხედვით, ანუ თუ რა მიზნების განხორციელებას ემსახურება ესა თუ ის უფლებამოსილება. წიგნის გარკვეული მონაკვეთი საკონსტიტუციო სამართალწარმოებას უკავშირდება.

„ეს არის წიგნი, რომელიც 1921 წლის 21 დეკემბრის კონსტიტუციის 90 წლისთავს მივუძღვენი. ნაშრომის მთავარი თემა საკონსტიტუციო კონტროლია. მომავალში გადაწყვეტილი მაქვს, რომ ეს გამოცემა განვაახლო, რადგან ყველა საკითხი, რისი განხილვაც მინდოდა ამ მონოგრაფიაში, მოცემული არ გახლავთ. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ ბოლო კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად კიდევ დამატებითი უფლებამოსილებები შეიძინა, თუმცა ეს ჯერ ორგანულ კანონში არ ასახულა და, შესაბამისად, ეს საკითხი მონოგრაფიაში არ განმიხილავს“, — განაცხადა წიგნის ავტორმა გიორგი კახიანმა.

წიგნის პრეზენტაციას საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებიც დაესწრნენ. აღსანიშნავია, რომ გიორგი კახიანის მონოგრაფია ყველა მათგანმა დადებითად შეაფასა. მათი განცხადებით, ეს არის სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც მხოლოდ თეორიაზე არ გახლავთ აგებული და პრაქტიკიდან მოყვანილი პრეცედენტებით საკმაოდ მდიდარია.

„ამ ნაშრომში კარგად არის გაანალიზებული თანამედროვე ვითარება და წინა ისტორიაც, კრიტიკული თვალითაც არის შეფასებული ზოგიერთი ტენდენცია, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ეს ნაშრომი აუცილებლად გამოიწვევს სამეცნიერო დებატებისაც. ეს მეცნიერებსა და პრაქტიკოს იურისტებს საშუალებას აძლევს კიდევ უფრო ჩაუღრმავდნენ ამ თემას“, — აღნიშნა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი პაპუაშვილმა.

* * *

საიუბილეო კვირეულის ფარგლებში გამართული ღონისძიებები იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა დადებითად შეაფასა: „ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც იურიდიული ფაკულტეტის დაარსების წლისთავი აღვნიშნეთ. მინდა გითხრათ, რომ 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილმა კვირეულმა ნაყოფიერად ჩაიარა. უნივერსიტეტმა შეიძლება იამაყოს იმით, თუ რა კვლევებზე მუშაობს მისი აკადემიური პერსონალი, რა სამეცნიერო ნაშრომები იქმნება მის წიაღში და როგორ აქტიურობენ სტუდენტები სამეცნიერო კონფერენციებში“, — განაცხადა ირაკლი ბურდულმა.

იურიდიული ფაკულტეტის 90 წლის იუბილე „უბრალოდ ბანკეტით“ დასრულდა. მიმდინარე წლიდან კი ფაკულტეტის საიუბილეო თარიღის აღნიშვნა ტრადიციად იქცევა.

მოამზადა ნატო ობოლაძემ

ორგანული სინთეზი ქიმიასთან

უნივერსიტეტის ქიმიკოსებისა და მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებისთვის ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის პროფესორი შოთა სამსონია ის მეცნიერია, რომლის მოსაზრებებსა და შეფასებებს ყურადღებით ისმენენ და ითვალისწინებენ.

წელს ბატონ შოთა სამსონიას დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. იუბილე მისმა მოსწავლეებმა, კოლეგებმა და უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტმა განსაკუთრებული სითბოთი აღნიშნეს, რადგან, მათი აზრით, ორგანული ქიმიის მიმართულება დიდადაა დავალებული პროფესორ შოთა სამსონიას სამეცნიერო მოღვაწეობით.

ვისაც სტუდენტობაში ორგანული ქიმია ჩაუბარებია და აინტერესებს — რა ნიშანი დაიმსახურა მაშინ, შეუძლია ბატონ შოთას მიმართოს — სწორედ მასთან ინახება ჟურნალი, რომელშიც ყველა სტუდენტის ნიშნებია ჩამოწერილი. ამ ჟურნალს ახლა სახალისოდ მიჩვენებს, მაგრამ ამ იუმორში მთავარი სხვა რამაა — პეტრე მელიქიშვილის კაბინეტში, რომელშიც დღეს ბატონი შოთა მუშაობს, ტრადიციულისა და სიახლის სინთეზი თვალნათლივ იგრძნობა. აქ ინახება უამრავი რარიტეტული გამოცემა და ნივთი, რომელიც დღეს უკვე უნივერსიტეტის ისტორიაა და განსაკუთრებით უფრთხილდებიან, რადგან, მათი აზრით, სიძველისადმი პატივისცემა ჯანსაღი ნერგის ამოზრდის საშუალებას იძლევა.

მაინც რა არის მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ხიბლი? როგორ მოვიდა დღემდე? რა შესძინა მეცნიერს ქიმიაში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობის წლებმა? როგორ ხედავს იგი მეცნიერების განვითარების პერსპექტივებს? გაზეთმა „თბილისის უნივერსიტეტმა“ ამ კითხვებით მიმართა იუბილარს.

მაია ტორაძე

— ხშირად ვამბობთ, რომ პროფესია ადამიანების ხასიათის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს, რადგან წლების განმავლობაში მათ აზროვნების განსხვავებული სტილი უყალიბდებათ. შეგიძლიათ გვითხრათ, რა მოგცათ ქიმიამ ადამიანური და პროფესიული თვალსაზრისით?

— ხომ ეკითხებიან რესპონდენტებს, თავიდან რომ დაიწყოთ ცხოვრება, რას შეცვლიდითო? ჩემთვის რომ ეს კითხვა დაგესვათ, გიპასუხებდით, ისევ ქიმიას ავირჩევდი, რადგანაც სხვა ალტერნატივა არასოდეს მქონია.

განსაკუთრებით გამოვყოფ უნივერსიტეტის პედაგოგებს. მათ შორის, ბატონ ილო გვერდწითელს, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გახლდათ და პეტრე მელიქიშვილის კათედრაზე მოღვაწეობდა. ბატონი ილია ჩემი მარტო პედაგოგი არ იყო, მან ბევრ რამეში გამიკვალა გზა.

ერთ ეპიზოდს გავიხსენებ — სანამ დისერტაციას დავწერდი, ჩემი ასპირანტურაში სწავლის ვადა დასრულდა და, ცხადია, სტიპენდია მომეხსნა. არადა, დისერტაციის დასასრულებლად კიდევ 4 თვე მჭირდებოდა. ბატონმა ილიამ მომწერა, მშვიდად იმუშავე, მე გაგიგრძელე ასპირანტურის კურსიო. ამ გზით, მოსკოვში, 75 მანეთსა და 30 კაპიკს, სტიპენდიის სახით, ყოველი თვის ბოლოს ვიღებდი. დავასრულე წერა და დავიცავი დისერტაცია, მაგრამ ერთი თვე კიდევ დამჭირდა საქმის დასამთავრებლად და ბატონ ილიას მოვწერე – თუ შეიძლება, კიდევ ერთი თვით გამიგრძელეთ კურსი, რომ საქმე ბოლომდე მივიყვანო-მეთქი.... პასუხად მივიღე – „მეტი სახსრები მეც აღარ მაქვს, რომ გამოგიგზავნო და თუ შეიძლება, ჩამობრძანდით თბილისში“ — აღმოჩნდა, რომ ამ 4 თვის მანძილზე ბატონი ილია საკუთარი ხელფასიდან მიგზავნიდა „სტიპენდიას“. ასეთი მაგალითები გახდა იმის საწინდარი, რომ მეც ასე მემუშავა ჩემს ასპირანტებთან. ბატონი ილიასგან ვისწავლე სტუდენტთან, ასპირანტთან თუ დოქტორანტთან ურთიერთობა.

— მეცნიერებამ დიდი გატაცება იცის... თავიდან რითი დაიწყეთ, როდის მიხვდით, რომ ქიმია გაინტერესებდათ?

— მახსოვს, მე და ჩემს მეგობარს, მურად ცარციძეს, შემდგომში ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანს და უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის გამგეს, მასწავლებელი მორიგეობით გვეუბნებოდა – ეს მასალა წაიკითხეთ და ახსენით გაკვეთილი, ასე მოვიდა ქიმიისადმი დიდი ინტერესი და ამ საგნისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, რასაც ჩემს შემთხვევაში ოჯახურმა ტრადიციამაც შეუწყო ხელი. ჩემი მშობლები ქიმიკოსები იყვნენ. მამა — ავთანდილ სამსონია ანალიზური ქიმიის მიმართულებით უნივერსიტეტის დოცენტი გახლდათ. იგი ნიკო კეცხოველის დროს მოღვაწეობდა, ლენინგრადის უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია და სამამულო ომში წავიდა, დაბრუნების შემდეგაც სწავლა ლენინგრადის უნივერსიტეტის დოქტორანტურაში განაგრძო. მამა 1955 წელს, 49 წლის ასაკში, ლაბორატორიაში მუშაობის დროს დაიღუპა. მისი სიკვდილის მიზეზის შესახებ ჩვენ გვაქვს დასკვნა, რომელშიც წერია, იგი უცნობი შხამით მოიწამლა. ეტყობა, ლაბორატორიაში გახდა ცუდად და რადგანაც მარტო იყო, შველა ვერავინ შეძლო. ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ ქიმიის ლაბორატორიაში მარტო მუშაობა არაფრით შეიძლება. დედა — ელენე ცქიტიშვილიც ქიმიკოსი იყო – ფიზიკური ქიმიის განხრით მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ჩემი ინტერესის სფერო თავიდანვე ორგანული ქიმია იყო. ბატონმა ილიამ სტუდენტობიდანვე შემომთავაზა ეს მიმართულება და სიამოვნებით დავთანხმდი.

მუშაობა დავიწყე ორგანულ ქიმიაში, ხოლო საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი მაკრომოლეკულურ ქიმიაში. 1968 წელს ორგანული ქიმიის კათედრას გამოეყო მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის კათედრა. მე შემომთავაზეს ორგანული ქიმიის კათედრა და ამ კათედრაზე დავრჩი. მინდა გითხრათ, რომ ძალიან დიდი სიამოვნება მივიღე აქ მუშაობით.

— ამ ეტაპზე რაზე მუშაობთ?

— ამჟამად ჰეტეროციკლურ ნაერთთა ქიმიაში ვმუშაობ. თქვენ თუ მედიკამენტების მოხმარების წესს წაიკითხავთ და დააკვირდებით, მიხვდებით, რომ ყველა ეს მედიკამენტი ჰეტეროციკლურ ნაერთთა ქიმიას ეკუთვნის. ეს არის ახალი სისტემები, ახალი რეაქციები, ანომალური რეაქციები და მიღებულ ნაერთთა სკრინინგი ბიოლოგიურ აქტიურობაზე. ძირითადად ეს ტუბერკულოზის, ანტიბაქტერიოლოგიური და ონკოლოგიური დაავადებების საწინააღმდეგო პრეპარატებია... მე და ჩემი კოლეგები ამ საკითხებზე აქ ვმუშაობთ და შემდეგ მიღებულ შედეგებს გერმანიაში, ფირმა „ასტამედიკა“-ში ვაგზავნით, რომელთანაც ინტენსიურად ვთანამშრომლობთ.

ხელშეკრულებაა დადებული ასევე ამერიკის მერილენდის შტატის სამხედრო სამედიცინო ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტთან. მიღებულ ნივთიერებებს იქაც ვაგზავნით სკრინინგისთვის.

— როგორც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ აქტიურად თანამშრომლობთ უცხოურ სამეცნიერო წრეებთანაც...

— ამ კონტაქტებს საფუძველი ჯერ კიდევ 1971 წელს ჩაეყარა. მაშინ საბჭოთა კავშირიდან 14 ახალგაზრდა გაგვაგზავნეს გერმანიაში. ერთწლიანი სამეცნიერო სტაჟირება გავიარე გუტენბერგის უნივერსიტეტში (ქ. მაინცი). მათთან დღესაც ვმეგობრობ.

შემდეგ დაიწყო გაცვლითი პროგრამები საარბრიუკენის უნივერსიტეტთან. 1987 წლიდან ამ გაცვლით პროგრამაში ვარ ჩართული და კვლევებისთვის ორ წელიწადში ერთხელ გერმანიაში ჩავდივარ. ამ კონტაქტების შედეგად ბევრმა ჩემმა მაგისტრანტმა თუ დოქტორანტმა გაიარა სტაჟირება უცხოეთის სამეცნიერო დაწესებულებებსა თუ ლაბორატორიებში და მუშაობის კარგი პრაქტიკა მიიღო. სხვათა შორის, ახლაც გვყავს გაგზავნილი უცხოეთში რამდენიმე ახალგაზრდა. მაგალითად, თამარ დოროშენკო, რომელმაც წელს დაამთავრა მაგისტრატურა და საარბრიუკენის უნივერსიტეტში ერთობლივი სადოქტორო პროგრამით ორგანული ქიმიის ინსტიტუტის პროფესორთან ული კაცმაიერთან იმყოფება.

ბევრი ჩემი ყოფილი ასპირანტი დღეს საზღვარგარეთ მუშაობს. უნდა გამოვყო ელისო გოგრიჭიანი, რომელიც ფრაიბურგში მოღვაწეობს, მარინა ნარინდოშვილი და მაია ციკოლია, ისინი ფლორიდის უნივერსიტეტში საქმიანობენ. საქართველოს საზღვრებს გარეთ მოღვაწეობენ ნინო ლომაძე, ნოდარ მახარაშვილი, ნუგზარ ღავთაძე და სხვები. შეიძლება ითქვას, რომ საზღვარგარეთ, ორგანული ქიმიის მიმართულებით, სერიოზული ქართული სამეცნიერო ჯგუფია შექმნილი.

— 48-ე წელია, რაც მეცნიერებაში მოღვაწეობთ და თქვენს თვალწინ მეცნიერების განვითარების რამდენიმე ეტაპმა გაიარა. როგორი იყო მეცნიერების განვითარების პერსპექტივები ადრე, როგორია დღეს და როგორ ხედავთ მას მომავალში?

— თუ გადავხედავთ ადრინდელ ეტაპს, ერთადერთი პრობლემა მაშინ უცხოური წარმოების ხელსაწყოების შესაძენად საჭირო ვალუტის შოვნა იყო, მაგრამ ისეთი კავშირები იყო საბჭოთა კავშირის ქვეყნების სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებს შორის, რომ ადვილად ვსარგებლობდით საბჭოთა რესპუბლიკების სამეცნიერო ინსტიტუტებით. მაშინ საკმაოდ კარგ ხელსაწყოებს ამზადებდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაც. დაფინანსებისა და რეაქტივების შეძენის პრობლემა არ არსებობდა.

შემდეგ ისე მოხდა, რომ საქართველო დამოუკიდებელი გახდა, გადავედით საბაზრო ეკონომიკაზე, შეუდარებლად გაგვიძვირდა სამუშაო მასალები, რეაქტივები და ხელსაწყოები, ახლა მათ მოვიპოვებას მხოლოდ საგრანტო დაფინანსებით თუ ვახერხებთ. ეს ცუდი არ არის, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი აქვს — წყვეტა ახასიათებს, რასაც თანამშრომლების გადინება მოჰყვება. გრანტის არარსებობის შემთხვევაში ისინი დაუსაქმებლები რჩებიან და კადრი, რომელიც წლების განმავლობაში შენს ლაბორატორიაში იზრდება, იკარგება.

— ამ პრობლემის გამოსწორებისთვის კონკრეტულ გზას თუ ხედავთ?

— ორი გზა არსებობს — ერთი ის, რომ შესაძლებელია მოხდეს რეალურად მოქმედი ლაბორატორიების სახელმწიფო ფინანსირება. მეორე კი გახლავთ გერმანული მოდელი — უნდა დავეყრდნოთ მოქმედ ლაბორატორიებს, რომლებსაც აქვთ სამეცნიერო პროდუქცია — იქ მუშავდება პროექტები, წარმოებს კვლევა, ცდები და იწერება სამეცნიერო სტატიები. თუ ასეთი ლაბორატორია მიმართავს ფონდს, რომ ესა თუ ის სამეცნიერო კვლევა უნდა დაფინანსდეს, მან ის უნდა დააფინანსოს. ეს განსაკუთრებით ეხება ფუნდამენტურ მეცნიერებებს და კვლევებს, რაც აუცილებლად უნივერსიტეტის წიაღში უნდა განხორციელდეს. გერმანიაში, ნებისმიერი პროფესორი, ან დამწყები მეცნიერი თუ სამეცნიერო პროექტით მიმართავს იქ არსებულ სამეცნიერო ფონდებს, მას აფინანსებენ.

გრანტების დაფინანსების შემდეგ ფონდი ნახავს, რა შედეგები მოყვა ამ კვლევებს და შემდეგ ესეც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

— ჩვენ ვნახეთ, რამდენი თქვენი კოლეგა და მოსწავლე გაღიარებთ, როგორც კარგ მეცნიერს და ხელმძღვანელს. მათ თქვენ უყვარხართ. რითაა გამოწვეული თანამშრომლების თქვენდამი ასეთი დამოკიდებულება?

— ალბათ იმით, რომ მე მიყვარს ეს ხალხი... თანამშრომელს უნდა უხაროდეს სამსახურში მოსვლა და ლაბორატორიაში მუშაობა. ხელმძღვანელთან ურთიერთობა მისთვის სასიამოვნო და საქმიანი უნდა იყოს. თუ მას ეშინია, თუ მას ფეხები უკან რჩება, საქმიდან არაფერი გამოვა... რა თქმა უნდა, მომთხოვნიც უნდა იყო, მაგრამ შენი თანამშრომლის ღირსებას უნდა იცავდე...

პროექტი

„ისტორიის“ თანამედროვე გააზრება

„ისტორიის კვლევის ახალი ტენდენციები 21-ე საუკუნის დასაწყისში: ძველი წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის გზაჯვარედინზე“ — ამ სახელწოდებით 4-5 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, რომელიც დაკავშირებული იყო საერთაშორისო პროექტთან „მარადიული დედაქალაქები“ — უძველესი კოსმოპოლიტური ქალაქებიდან თანამედროვე მეგაპოლისებამდე“.

კონფერენციაზე წარმოდგენილი თემატიკა ისეთ გლობალურ საკითხებს მოიცავდა, როგორიცაა: კულტურული დიფუზია და ადგილობრივი განვითარება; ლოკალური იდენტობა და გლობალური კულტურული სინთეზების პროცესი; მსოფლიო სისტემების თეორია; დროის გეოგრაფია; მოსახლეობის გადაადგილება; ვაჭრობა; გეოგრაფიული განფენილობა და ლანდშაფტის როლი; მოგზაურობისა და ტრანსპორტის ტექნოლოგიები; კოლონიზაცია; კოლონიებისა და იმპერიების ურთიერთქმედება; სოციალური ურბანიზაციის საკითხები და სხვ.

პროექტის აკადემიური დირექტორის, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის ეკა ავალიანის ინფორმაციით, საერთაშორისო პროექტის ფარგლებში დაგეგმილი კონფერენცია, რომელიც სწავლობს 21-ე საუკუნის ახალ ტენდენციებს ისტორიის მეცნიერებაში, წარმოადგენს ერთგვარ აქციას და იგი ყოველწლიურად იმართება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რაც ქართველ მეცნიერებს საშუალებას აძლევს, უცხოელ კოლეგებთან ერთად, აქტიურად ჩაერთონ კვლევის პროცესებში და გაიზიარონ მათი გამოცდილება. ამავე თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო წინა წელს ჩატარებული კონფერენცია თემაზე: „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია: ახალი აზროვნების შემოტანა ისტორიაში“.

საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი დარეჯან თვალთვაძე, რომელმაც მიმდინარე სამეცნიერო ფორუმის მნიშვნელობაზე ისაუბრა და მადლობა გადაუხადა კონფერენციის მხარდამჭერ ორგანიზაციებს, პროექტის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს: თსუ-ის პროფესორს ეკა ავალიანს, მელბურნის უნივერსიტეტის პროფესორს გოჩა ცეცხლაძეს და პროექტის სპონსორებს.

„ჩვენთვის სასიხარულოა, რომ დღევანდელ ფორუმს ესწრებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილი ისტორიკოსები და მკვლევრები, რომელთა გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისთვის. კონფერენციაზე წარმოდგენილი თემატიკა იმდენად აქტუალურია, რამდენადაც ამ პრობლემების გადაწყვეტაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ისტორიის წარსული, აწმყო და მომავალი“, — აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, პროექტის „ისტორიის კვლევის ახალი ტენდენციები 21-ე საუკუნის დასაწყისში: ძველი წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის გზაჯვარედინზე“ მიზანია, მეცნიერებმა ინოვაციურად შეძლონ გადახალისება და ერთგვარი რევიზია ისეთი დარგებისა,

მე-5 გვერდზე

„ისტორიის“ თანამედროვე გააზრება

მეოთხე გვერდიდან

როგორიცაა ძველი ისტორია და კულტურა, დანერგონ ამ სფეროში ახლებური მეთოდები, რომლებსაც შემდგომ სტუდენტებს გაუზიარებენ.

პროფესორ ეკა ავალიანის ინფორმაციით, ისტორიის შესწავლის ახალი ტენდენციებისა და ჰუმანიტარული დარგების ხელახალი გააზრება სწორედ XXI საუკუნეში დაიწყო.

„ჩვენი მთავარი ფოკუსი მიმართულია ძველი მახლობელი აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვის რეგიონზე. ის ისტორიულ-კულტურული პროცესები, რაც ამ პერიოდში მიმდინარეობს, არ არის მხოლოდ ამ ისტორიული რეგიონების და პერიოდების კუთვნილება, უნდა მოხდეს ამ პროცესების განზოგადება და კონცეპტუალური გააზრება ისტორიის ერთიან ონთოლოგიურ ქარგაში, რამდენადაც ის, რაც წარსულში ხდება, მხოლოდ ერთჯერადი პროცესი არ არის და მეორდება სხვა ეტაპებზეც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების გამომუშავება სწორედ იმიტომ, რომ წარსულის ისტორიული და კულტურული ტრაექტორიები ხშირად მეორდება არა მარტო შუა საუკუნეებში, არამედ თანამედროვეობაშიც.

კონფერენცია იმ თვალსაზრისითაც არის საინტერესო, რომ ჩვენ საშუალება გვეძლევა მოვუსმინოთ უცხოელ კოლეგებს და შევქმნათ ისეთი ატმოსფერო, როდესაც ცოდნა გაზიარებულია. მოგეხსენებათ, იზოლაციაში მოქცეულებს გაგვიჭირდებოდა დასავლური წარმატებული სკოლების გამოცდილების გაცნობა და საკუთარი ცოდნის გადაფასება. ამ კონფერენციაზე კიდევ ერთხელ მოგვეცა საშუალება, გადავამოწმოთ ის არჩევანი და გზა, რასაც ვაკეთებთ უცხოელ კოლეგებთან ერთად. ბოლო დროს დასავლეთშიც გაჩნდა მოთხოვნა, რომ ისტორიული აზროვნება გადახალისდეს. გვახარებს, რომ მომავალ თაობას სურვილი აქვს ხელახლა გადახედოს და გააანალიზოს წინა თაობის მიერ განვლილი გზა“, — აღნიშნა ეკა ავალიანმა.

მისი აზრით, მნიშვნელოვანია ურთიერთობები თაობათა შორის. სწორედ ამ მიზნით სესიის წაყვანა მელბურნის უნივერსიტეტის პროფესორ გოჩა ცეცხლაძესთან ერთად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტს ეკა გოგოხიასაც დაევალა, რომელმაც კონფერენციაზე საინტერესო ნაშრომი წარადგა: „ბრინჯაოს ხანიდან რკინის ხანამდე: დედაქალაქები გარდამავალ პერიოდში“.

როგორც სესიის მსვლელობისას მეცნიერებმა აღნიშნეს, კონფერენციის მიზანია ერთად შეკრიბოს სხვადასხვა საკითხზე მომუშავე მეცნიერები, რომლებსაც შესაძლებლობა ექნებათ, ერთმანეთს გააცნონ და გაუზიარონ სხვადასხვა თემები და პრობლემები, ამასთან, ხელი შეუწყონ ფართო სპექტრის საკითხების კვლევას. მათი აზრით, კონფერენცია იძლევა ინტერდისციპლინარული ურთიერთთანამშრომლობის საუკეთესო საშუალებას.

ეკა ავალიანის თქმით, ძველი მსოფლიოს იდეა და კონცეფცია მოითხოვს გარკვეულ მოდიფიკაციას. ზოგიერთი მეცნიერი თავად ამ ტერმინის შეცვლასაც კი აუცილებლობად მიიჩნევს. კონფერენცია „ისტორიის კვლევის ახალი ტენდენციები 21-ე საუკუნის დასაწყისში“ იკვლევს სწორედ ამ საკითხს, კერძოდ: თუ რა გავლენა მოახდინა „პოსტმოდერნისტულმა“ პარადიგმამ წარსულის ჩვენეულ აღქმაზე და თუ რა დონეზე უნდა დავუშვათ მისი პრინციპების (მრავალფეროვნება, დინამიკა, მობილურობა, მაკრო-სოციალური პროცესები, ურბანიზმი) მუშაობა ზოგად ისტორიაში. მეცნიერების აზრით, 21-ე საუკუნის დასაწყისში „პოსტმოდერნისტულმა“ პარადიგმამ რადიკალურად განსხვავებული ტრაექტორია აირჩია და მის მთავარ მიზანს მეცნიერული კვლევისთვის ისეთი პირობების შექმნა წარმოადგენს, რომელიც ყურადღებას ამახვილებს საზოგადოების ცხოვრებისა და აზროვნების მოქმედებასა და დინამიკაზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ქეთევან კაკიტელაშვილმა და ამავე ფაკულტეტის დოქტორანტმა ირაკლი ჩხაიძემ კონფერენციაზე საკმაოდ საინტერესო თემატიკა წამოსწიეს. მოხსენების სათაურია — „პოსტსაბჭოთა საქართველო: საისტორიო კვლევის ახალი პერსპექტივები“. ამ მოხსენებაში გაშუქებულია პოსტსაბჭოთა საქართველოში საისტორიო კვლევაში მიმდინარე დინამიკა. მკვლევართა აზრით, მას შემდეგ, რაც 90-იან წლებში უარყოფილი გახდა საბჭოთა მემკვიდრეობა, მათ შორის, სამეცნიერო სფეროში, ძნელია საისტორიო კვლევაში არსებითი მეთოდოლოგიური ცვლილებების დანახვა.

დეკლარირებულად უარყოფილია ათწლეულების მანძილზე დომინირებული მარქსისტული დისკურსი, თუმცა საკვლევი თემატიკა და კვლევის მეთოდები ინარჩუნებენ ამ დისკურსისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. საისტორიო მეცნიერება რჩება მონოდისციპლინურ სფეროდ. ირაკლი ჩხაიძის ინფორმაციით, მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე, რომელიც ახასიათებს პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიას — ეს არის წარსულის კონფლიქტური ინტერპრეტაცია ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, ეს ტენდენცია ხელს უშლის ქვეყნის პოლიტიკურ და სამოქალაქო ინტეგრაციას.

საინტერესო გახლდათ უცხოელი და ქართველი მეცნიერებისა და ახალგაზრდა მკვლევრების მოხსენებები, მათ შორის: ჟოლტ სიმონის (უნგრეთი) — „არიან თუ არა ქართული წარმართული ღმერთები წარმოშობით ანატოლიიდან? თანამედროვე ისტორიოგრაფიული ტოპოსი ანატოლიური თვალსაზრისიდან გამომდინარე“; მაია ღამბაშიძის — „ცხენის აღჭურვილობის შესახებ ხეთური ტექსტების მიხედვით ძველ ანატოლიაში“; ეკა გოგოხიას — „ბრინჯაოს ხანიდან რკინის ხანამდე: დედაქალაქები გარდამავალ პერიოდში“; რუმინელი პროფესორის იულიან მოგას — „აღსარება და საღვთო სამართალი წარმართულ ურბანულ და არაურბანულ ანატოლიაში“; მაია ხარაიძის — „რომაული კულტურული გავლენა: საზოგადოებრივი შენობები კართაგენში“; ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის პროფესორის ევგენი აფონასინის — „სოკრატე აგორაში: ფილოსოფოსი ურბანული პეიზაჟის ფონზე“; ლელა კიკნაძის — „ჯაჰილას „კონცეფციის ინტერპრეტაცია რადიკალურ ისლამურ სწავლებაში“; ნინო ჩიქოვანის — „ისტორიული რეჟიმი და იდენტობის დისკურსი საქართველოში“; ეკა ავალიანის — „ძველი ეგეიდა: მინოსელი ქალღმერთი მიკენური ღმერთების წინააღმდეგ“; ვაჟა კიკნაძის — „ისტორიული პარალელები: თევდორე მღვდელი და ივანე სუსანინი“ და სხვ.

სესიის მუშაობის დროს მეცნიერებს შორის გაიმართა აკადემიური დებატები.

ეკა ავალიანის ინფორმაციით, პროექტის სპონსორია „ღია საზოგადოების“ ინსტიტუტის უმაღლესი განათლების მხარდამჭერი პროგრამა, — რეგიონალური სემინარი უმაღლესი სწავლების სრულყოფისთვის.

მოამზადა შურთხია ბეროშვილმა

საიუბილეო გამოფენა

რად ულირდათ უნივერსიტეტი პატრიოტ მეცნიერებს

პირველი გვერდიდან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაარსებიდან 93 წლისთავი საინტერესო გამოფენით და ფილმის პრეზენტაციით აღნიშნა.

გამოფენა — „უნივერსიტეტი და წითელი ისტორია“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს ერთობლივი ძალისხმევით გაიხსნა. დამთვალიერებელმა პირველად იხილა გასული საუკუნის უნიკალური და უცნობი ფოტო და დოკუმენტური მასალები, რომელიც საქართველოსა და უნივერსიტეტისთვის უმძიმეს პერიოდს — გასული საუკუნის 30-იან წლებს ასახავდა. გამოფენილი იყო, ასევე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეპრესირებული პროფესორების: შალვა ნუცუბიძის, სიმონ ყაუხჩიშვილის, გრიგოლ წერეთლის, ვუკოლ ბერიძის, გიორგი გეხტმანისა და ვახტანგ კოტეტიშვილის წიგნები.

გამოფენის ერთი ექსპონატის გაცნობაც კი საკმარისია იმის დასადასტურებლად, თუ რა პირობებში უწევდათ მუშაობა საბჭოთა პერიოდის ავადსახსენებელ წლებში ჯერ კიდევ ახლად გახსნილი თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს.

მაგალითად მოვიყვანთ ერთ-ერთ სტენდზე გამოფენილ მასალას: ს.კ.პ. /ბ/ სახ. უნივერსიტეტის პარტკომის სხდომის ოქმი 13 (1934 წელი 21 მაისი) გვაუწყებს, რომ ამ სხდომაზე განუხილავთ პროფესორ გიორგი ახვლედიანისა და არნოლდ ჩიქობავას უნივერსიტეტში ყოფნა-არყოფნის საკითხი და დაუდგენიათ: **„იმის გამო, რომ სათანადო მარქსისტულ-ლენინურ შემცვლელი კადრები არ მოგვეპოვება, ამიტომ დატოვებულ იქნას პროფ. გ. ახვლედიანი და ჩიქობავა სამუშაოზე და გაგრძელდეს მათზე კონტროლი და გაიშალოს ბრძოლა მათი საბოლოო განიარაღებისათვის (25-ე პუნქტი); პარტკომის აზრით, მათი უნივერსიტეტში მუშაობა მიზანშეუწონელია, მაგრამ დღესდღეობით მათი შემცვლელი სათანადო სპეციალისტების უყოლობის გამო შესაძლებლად იქნას ცნობილი მათი გამოყენება, მით უმეტესად, რომ თავის დარგში დიდი სპეციალისტები არიან (29-ე პუნქტი)“**.

საბჭოთა იდეოლოგიისა და მუხანათური პოლიტიკის კიდევ ერთ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ერთი პიროვნების, ბოლშევიკ მალაქია ტოროშელიძის ბიოგრაფია. ამ ადამიანს ჯერ ხელი მოაწერინეს უნივერსიტეტის დაშლაზე, შემდეგ უნივერსიტეტის რექტორად დანიშნეს, ბოლოს კი დაიჭირეს და დახვრიტეს – მხოლოდ ეს ისტორიაც კი მოწმობს იმას, თუ რა ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და რა ეტაპებს გაუძლო დაარსებიდან ათწლეულების განმავლობაში.

„აქ წარმოდგენილი ექსპონატები სრულად არის დაცული არქივში. ეს არის „გრიფით საიდუმლო“ და „სრულიად საიდუმლო“ საქაღალდიდან ამოკრეფილი მასალების ნაწილი. უნივერსიტეტი განსაკუთრებით კონტროლდებოდა ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების მიერ. განსაკუთრებით იდევნებოდნენ ადამიანები, რომლებიც თავისი აზროვნებით და განათლებით გამოირჩეოდნენ და განსაზღვრავდნენ ქართულ ცნობიერებას. აქ წარმოდგენილი ბანერები სრულად ასახავს იმ ტერორს, რომელიც ქართულმა სახელმწიფოებრიობამ და ქართულმა უნივერსიტეტმა განიცადა“, — განაცხადა შსს საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილემ თამარ ბელქანიამ.

უნივერსიტეტის სტუმართაგან ყველა აღნიშნავდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების დღის – 8 თებერვლის მნიშვნელობას ქართველი ერისთვის.

„ეს არის დღე, რომელიც ყოველთვის უნდა აღინიშნოს არა პომპეზურად, არამედ საქმიანად, რათა სრული შთაბეჭდილება შეექმნას ახალ თაობას, როგორი იყო უნივერსიტეტის ცხოვრება. ამისთვის კი დღის სინათლეზე უნდა გამოვიდეს ყოველივე დაფარული იმის შესახებ, რაც აქამდე ხელმიუწვდომელი იყო საზოგადოებისთვის“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში მწერალმა და კრიტიკოსმა როსტომ ჩხეიძემ.

გადმოცემული ისტორია თვალნათლივ გვიჩვენებს საბჭოთა დიქტატურის პოლიტიკასა და იდეოლოგიას, მის დაუნდობლობას მეცნიერთა და შემოქმედთა მიმართ, რაც დღეს შეფასებასა და გაანალიზებას საჭიროებს.

უნივერსიტეტის იუბილეს მიეძღვნა ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს ჟურნალ „საარქივო მოამბის“ სპეციალური ნომერი და დოკუმენტური ფილმი „დატყვევებული გონი(ერი)“, რომლის პრემიერაც გამოფენის გახსნის შემდეგ გაიმართა.

ფილმი მოგვითხრობს უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის შალვა ნუცუბიძის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნის ისტორიას, რომელიც ასევე შსს სამინისტროს საარქივო სამმართველოს არქივში დაცული საქმეების საფუძველზე შექმნეს პროექტის ავტორმა თამარ ბელქანიამ, ჟურნალისტმა ნინო აჯიბეგიშვილმა და რედაქტორებმა ეკატერინე კაციტაძემ და ნანა გონჯილაშვილმა.

ფილმი მოგვითხრობს, თუ როგორ დაატიმრეს შალვა ნუცუბიძე 1938 წელს და სტალინის ბრძანებით როგორ ათარგმნინეს „ვეფხისტყაოსანი“ რუსულად ციხის კედლებში.

ფილმის პრემიერის წინ საუნივერსიტეტო საზოგადოებას დავით აღმაშენებლის ხსენებისა და უნივერსიტეტის დაარსების დღე მიულოცა უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა. მან აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თითქმის ერთი საუკუნეა, რაც საქართველოს თავისუფლების იდეას დარაჯობს და მისი სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელადაც გვევლინება. „გამოფენამ, რომელიც ვნახეთ, კარგად გვაჩვენა — რა წლები გამოიარა უნივერსიტეტმა, მაგრამ გეგმა, რომელიც არსებობს უნივერსიტეტის ფეხზე დაყენებისა და ევროპული სწავლების სისტემაში ღირსეულად ჩართვისათვის, უკვე ხორციელდება. ეს მიგვიყვანს იქამდე, რომ თბილისის უნივერსიტეტი ცნობადი გახდეს არა მხოლოდ რეგიონში, არამედ, ევროპასა და მსოფლიოში.

ჩვენ გვინდა აქ ერთმანეთს შეერწყას ძველი, ისტორიული ტრადიციები და თანამედროვეობა. ზაფხულში უკვე დასრულდება პირველი კორპუსის რემონტი, რისთვისაც, ვისარგებლებ შემთხვევით და, „ქართუ“ ჯგუფს კიდევ ერთხელ მადლობას გადავუხდი ამ ეროვნული საქმის გაკეთებისთვის. აქ მართლაც შეგვეძლება სწავლისა და სწავლებისთვის საჭირო გარემოს შექმნა. ძველისა და ახლის სინთეზი ძალიან შთამბეჭდავია და ამაში ცუდი არაფერია“, — განაცხადა რექტორმა.

უნივერსიტეტს იუბილე მიულოცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს ახალ ისტორიაში არ არსებობს არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელშიც თავისი წვლილი არ შეეტანოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. „ის დღესაც დიდ როლს თამაშობს ჩვენი ქვეყნის განვითარებაში და არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუცია საქართველოში. მინდა გისურვოთ, რომ უნივერსიტეტი მალე ჩადგეს ევროპის მნიშვნელოვან სასწავლო დაწესებულებათა რიგში. ამისთვის ბევრი რამაა გასაკეთებელი. დარწმუნებული ვარ, ყველა ერთად მივაღწევთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გახდეს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ, მსოფლიოს მასშტაბით“, — განაცხადა მინისტრმა.

მილოცვებს შეუერთდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუაც. „ჩემთვის დიდი პატივია ამ კედლებში სიტყვით მოგმართოთ, რადგან ეს არის ინსტიტუცია, რომელსაც დიდი ისტორია აქვს. ეს არის ადგილი, რომელიც თანმდევია ჩვენი დამოუკიდებლობის იდეისა. მადლობა ამ გამოფენისთვის, რომელიც ჩვენი ისტორიის ნაწილია და გვასწავლის, თუ როგორ სჭირდება გაფრთხილება თავისუფლებას სახელმწიფოსა და ადამიანურ დონეზე“, — მიმართა მან აუდიტორიას.

ფილმის „დატყვევებული გონი(ერი)“ ჩვენებას უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუმრები დაესწრნენ.

ახალი უნივერსიტეტი

გზა

მერაბ კოკოჩაშვილის „კინოს ენით“ ნათქვამი სიმართლე



„ფარული კამერით“ თუ გაჰყვები, ერთი დღეც საკმარისი იქნება გაიგო, რამდენად საინტერესო ცხოვრება აქვს, თუმცა ჯერ კიდევ დიდი დრო დასჭირდება მისი შემოქმედების შესწავლას და ამაზე, იმედია, კინოკრიტიკოსები იზრუნებენ. მისი ბიოგრაფია — წარმომავლობა, ცხოვრების რთული წლები და ფილმები მხოლოდ და მხოლოდ ერთიანობაში შეგვიძლია აღვიქვათ: ჯორჯაძეების და ჭავჭავაძეების შთამომავალს გარეგნობითაც გამოარჩევთ — იგი შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ძველ, გაცრეცილ შავ-თეთრ ფოტოზე, XIX საუკუნის ჩოხოსან თავადაზნაურთა შორის, თეთრი წვერით, გადაბმული წარბების ქვეშ, შორეული, დაფიქრებული მზერით... — გარწმუნებთ, კადრიდან ნამდვილად არ „ამოვარდება“.

შურთხია ბერეშვილი

„ხმელი წიფელი“, „მიხა“, „დიდი მწვანე ველი“, „ნუცას სკოლა“ „გზა“, „ცხელი ზაფხულის სამი დღე“ და კიდევ მრავალი ფილმების რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი, ამავე დროს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელე-ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელია. პროფესორის განსაკუთრებული სიყვარული უნივერსიტეტის მიმართ, შესაძლოა, იმითაც არის განპირობებული, რომ მისი წინაპრის დავით ჯორჯაძის სახელი დაკავშირებულია საქართველოში პირველი უნივერსიტეტის მშენებლობასთან. სწორედ დავით ჯორჯაძე იყო ის პიროვნება, რომელსაც მისადმი მადლიერების გამოხატულებისა და პატივისცემის ნიშნად დაარგვევინეს უნივერსიტეტის წინ, ჭავჭავაძის გამზირზე შვიდიდან ერთი ჭადარი.

როგორც თსუ-ის კინო-ტელე-ხელოვნების მიმართულების პედაგოგები ამბობენ, სწორედ მერაბ კოკოჩაშვილის დამსახურებაა, რომ ყოველწლიურად იზრდება სტუდენტების ინტერესი ამ დარგის მიმართ. ცნობილი რეჟისორი გატაცებით საუბრობს სტუდენტების მიერ შექმნილ ფილმებზე, მათ წარმატებებზე, „აღმოჩენებზე“ და იმედი აქვს, რომ ქართული კინო, ახალგაზრდა რეჟისორებთან და ოპერატორებთან ერთად, კვლავაც იტყვის თავის სათქმელს, ისევე, როგორც 60-70-იანი წლების ის თაობა, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი მერაბ კოკოჩაშვილია.

წინაპრების შარმი

როგორც თავად ამბობს, ძალიან უყვარს წინაპრების ამბების გახსენება, რასაც სიამოვნებით უზიარებს მსმენელს: „ბაბუას მონათხრობიდან ვიცი, რომ ჩვენი წინაპარი საზანოელი აზნაური ქაქუჩა (ქაიხოსრო) ქოჩეჩაშვილი ყოფილა... იგი, თუ არ ვცდები, იმერეთის მეფე სოლომონ I-ის ელჩებს გაჰყოლია თურქეთში. ქაქუჩა გამუსულმანებულ ქართველ ქალს გამიჯნურებია, რასაც მუსულმანების მხრიდან წინააღმდეგობა მოჰყოლია. გავიდა დრო და კათოლიკე ბერების დახმარებით გადარჩენილ ქაქუჩას ის ქალი მოუძებნია, ქრისტეს რჯულზე მოუქცევია და ცოლადაც შეურთავს, კათოლიკე ბერებისადმი მადლიერების გამოხატულების ნიშნად კი კათოლიკობა მიუღია. ასე გახდნენ კოკოჩაშვილები კათოლიკები. (მე კი 12 წლის ასაკში ქაშვეთის ეკლესიაში მოვინათლე მართლმადიდებლად). ქაქუჩას ბევრი შვილი ჰყოლია და ძლიერი, შეძლებული ოჯახი შეუქმნია. ვაჭრობისთვის მიუყვიათ ხელი, საქარავნე გზებით დადიოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში, ინდოეთამდეც მიუღწევიათ. ამ მრავალშვილიანი ოჯახის ერთ-ერთი შტოს შთამომავლები საქართველოში წამოსულან, ქუთაისში დამკვიდრებულან და იქ ბევრი სასიკეთო საქმე უკეთებიათ. ქუთაისში პირველი აფთიაქი კოკოჩაშვილებისა ყოფილა, სადაც, სხვადასხვა წამლებთან ერთად, ტკბილი წყალიც იყიდებოდა.

„თავის დროზე, 60-იან წლებში, მერაბ კოკოჩაშვილმა ფილმით „დიდი მწვანე ველი“ ქართულ კინემატოგრაფიაში რევოლუცია მოახდინა. რომანტიკოსი მერაბ კოკოჩაშვილი ცდილობს, საკუთარ სულში ჩაგვახედოს და დაგვანახოს — როგორები ვართ. იგი იმ დარღვეული ჰარმონიის აღდგენას ცდილობს, რომელსაც ჩვენში ადგილი აღარ აქვს“; „ავტორი თავის ფილმს წააგავს, იგი შემოქმედის ერთგვარი სახეა. თუ რა თემას ჰკიდებს ხელს შემოქმედი, აქედან ჩანს მისი მოქალაქეობრივი მრწამსი და ვალი ქვეყნის წინაშე“, — წერდნენ კინოკრიტიკოსები მერაბ კოკოჩაშვილის ფილმების შესახებ.

ბაბუაჩემი — ვასილ კოკოჩაშვილი ადვოკატი გახლდათ. დღემდე შენახული მაქვს მისი პორტსიგარი წარწერით. ეს ნივთი მას იმ კაცმა აჩუქა, რომელმაც ბაბუაჩემი ციხისგან იხსნა. ბებიაჩემი, ლუჩია ყაუხჩიშვილი-კოკოჩაშვილისა, ქუთაისში ქალთა გიმნაზიის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო“, — იხსენებს მერაბ კოკოჩაშვილი.

მუსიკოსების ოჯახში დაბადებული მერაბ კოკოჩაშვილი თბილისში აბაკელიას ქუჩაზე გაიზარდა. დედა — მარინე (მაკა) ჯორჯაძე ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავალი იყო, მარინეს დედა — ნინო ჭავჭავაძე ცოლად გაჰყოლია ერთ-ერთ პირველ ქართველ ინჟინერს — დავით ჯორჯაძეს. მამა — არჩილ კოკოჩაშვილი მევიოლინე იყო. მშობლები რუსთაველის თეატრში მუშაობდნენ. 1937 წელს მამა რეჟისორ სანდრო ახმეტელთან და დირიჟორ ევგენი მიქელაძესთან ერთად დააპატიმრეს, რომლის რეაბილიტაციის ცნობა 1956 წელს მიიღეს. მართალია მისი წინაპრები ექიმები, მოსამართლეები, ადვოკატები იყვნენ, მაგრამ თავად მერაბ კოკოჩაშვილმა კინორეჟისორობა აირჩია. იქნებ არც ის იყო შემთხვევითი გარემოება, რომ ფეხი აადგმევინა ცნობილმა მსახიობმა უშანგი ჩხეიძემ, რომელიც იმ დროს მათ სახლში ცხოვრობდა. კინოს „მტვერი“ კი ექვსი წლის ასაკში „ჩაისუნთქა“, როდესაც მიხეილ ჭიაურელის ფილმში „გიორგი სააკაძე“ პაატას როლი შეასრულა.

„ხმელი წიფელი“

პირველ საშუალო სკოლაში სწავლობდა, პარალელურად კონსერვატორიასთან არსებულ მუსიკალურ ათწლედში ლეო შიუკაშვილის ვიოლინოს კლასში მეცადინეობდა. გატაცებული იყო ლიტერატურით, თუმცა, ბოლოს, არჩევანი კინორეჟისორობაზე შეაჩერა. 1953 წელს მერაბ კოკოჩაშვილი მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში ჩაირიცხა.

„იმ დროს, როდესაც ახალგაზრდები სასწავლებლად მივდიოდით, უნდა გაგვეთვალისწინებინა, რომ არა მარტო ჩვენს სურვილს ჰქონდა მნიშვნელობა, არამედ იმასაც, რამდენად მზად ვიყავით იმისთვის, რომ ასეთ რთულ პროფესიას დავუფლებოდით. როდესაც გამოცდებს ვაბარებდი, კონკურსში 800 კაცი მონაწილეობდა, საიდანაც მხოლოდ 15 გავიდა, მათ შორის მოვხვდით რამდენიმე ქართველი: ინგა ამირეჯიბი, ოთარ აბესაძე და მე. იმ პერიოდში უკვე სწავლობდნენ ელდარ შენგელაია და თამაზ მელიავა. შემდგომში შემოგვიერთდნენ ლანა ღოღობერიძე, ოთარ იოსელიანი, გიორგი შენგელაია, ბაადურ წულაძე, საშა რეხვიაშვილი, მიშა კობახიძე და სხვები. უბედნიერესი წლები იყო... ყველანი ერთად, დიდ ოჯახად ვცხოვრობდით. ინსტიტუტში ჩაბარებამდე ჩვენი კინოთი გატაცება, გარკვეულწილად, იმანაც განაპირობა, რომ 50-იანი წლების დასაწყისში, გერმანიასთან ომის დამთავრების შემდეგ, კონტრიბუციის სახით შემოვიდა ბევრი უცხოური ფილმი... მოუთმენლად ველოდებოდით ორშაბათსა და ხუთშაბათს, რადგან ამ დღეებში კინოთეატრებში პრემიერებს უჩვენებდნენ. მაშინ ტელევიზია არ იყო, მხოლოდ რადიოსთვის შეგეძლო მოგესმინა, რომელიც იდეოლოგიური გადაცემებით იყო სავსე, ხანდახან მხოლოდ რამდენიმე მუსიკალურ ნაწარმოებს გვასმენინებდნენ. ჩემმა თაობამ გაიაზრა, რომ „კინოს ენით“ შეიძლება გამოხატო შენი სათქმელი“, — ამბობს რეჟისორი.

სათქმელი პირველივე საკურსო ნამუშევარში თქვა. „ხმელი წიფელი“, რომელიც ვაჟა-ფშაველას მოთხრობის მიხედვით გადაიღო, დადებითი შეფასება მოჰყვა. ფილმმა სტუდენტებისა და ახალგაზრდების საერთაშორისო ფესტივალზე ვენაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. მას მოჰყვა „კარდაკარ“, „არდადეგებზე“, „მიხა“, „დიდი მწვანე ველი“ და სხვა.

„თავის დროზე, 60-იან წლებში, მერაბ კოკოჩაშვილმა ფილმით „დიდი მწვანე ველი“ ქართულ კინემატოგრაფიაში რევოლუცია მოახდინა. რომანტიკოსი მერაბ კოკოჩაშვილი ცდილობს, საკუთარ სულში ჩაგვახედოს და დაგვანახოს — როგორები ვართ. იგი იმ დარღვეული ჰარმონიის აღდგენას ცდილობს, რომელსაც ჩვენში ადგილი აღარ აქვს“; „ავტორი თავის ფილმს წააგავს, იგი შემოქმედის ერთგვარი სახეა. თუ რა თემას ჰკიდებს ხელს შემოქმედი, აქედან ჩანს მისი მოქალაქეობრივი მრწამსი და ვალი ქვეყნის წინაშე“, — წერდნენ კინოკრიტიკოსები მერაბ კოკოჩაშვილის ფილმების შესახებ. თუმცა, ამავე დროს, იყო გარკვეული იდეოლოგიური წნეხიც, რომელსაც გულგატეხილობაც ახლდა, რასაც რეჟისორმა გაუძლო და დაძლია.

მერაბ კოკოჩაშვილი: ახლა საკმაოდ რთული გამოცდა ჰქონდათ მესამეკურსელებს, რომელთაც თავიანთი ფილმები წარმოადგინეს. გაზაფხულზე ვგეგმავთ ამ ფილმების ჩვენებას კინოს სახლში ან უნივერსიტეტში.

„რეჟისორმა ისე უნდა გადმოსცეს ამბავი, რომ მაყურებელმა განიცადოს — ან იცინოს, ან ცრემლი მოერიოს. ჩვენი საქმე სრულიად განსხვავებულია იმ თვალსაზრისით, რომ მაყურებელი შენი თანამოაზრე ხდება სწორედ შენი განცდის საფუძველზე. აი, ეს მინდა ვასწავლო სტუდენტებსაც“, — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი.

„გიჟები“ მოდიან...

— რამდენი წელია, რაც „კინოს ენას“ ასწავლით სტუდენტებს? თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანი სწავლებაა ამ მხრივ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში?

— უნივერსიტეტში ეს მიმართულება 25 წელია არსებობს, თუმცა, თავდაპირველად, კინო-ტელე-ხელოვნება მეორად საგნად ისწავლებოდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩემი პედაგოგიური საქმიანობა 90-იან წლებში დაიწყო, როდესაც ბატონმა ბეგი ბეჟუაშვილმა მომიწვია პედაგოგად და დღემდე ახალგაზრდებთან სიამოვნებით ვმუშაობ. ამჟამად ორეტაპიანი სწავლება მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ საწყის ეტაპზე ისწავლება რეჟისურის საფუძვლები, რომელიც მოიცავს სხვადასხვა დარგებს: (სატელევიზიო, სარეკლამო, დოკუმენტური, მხატვრული, მოკლემეტრაჟიანი ფილმები), მაგრამ სპეციალისტის ჩამოსაყალიბებლად, რათა მან მიიღოს დამდგმელი რეჟისორის, დამდგმელი ოპერატორის კვალიფიკაცია, აუცილებლად ესაჭიროება კიდევ ორი წელიწადი სწავლა მაგისტრატურაში. მიმართულებაზე სტუდენტები გადიან საკმაოდ ვრცელ კურსს, რომელიც მოიცავს ხელოვნების ისტორიას, სახვით ხელოვნებას, მუსიკალურ, კინო და თეატრალურ დრამატურგიას და სხვა დისციპლინებს. ამ ყველაფრის შესწავლას კი დიდი დრო და პრაქტიკა სჭირდება. უნივერსიტეტში ამის საშუალება არსებობს: გვაქვს ჩვენი ბაზა — სამონტაჟო ოთახი (სადაც ლექციებიც ტარდება), სამი დიდი ოთახი (სადაც მუშაობენ ოპერატორები), ვიდეო და კინო აპარატურა. მაგრამ ასეთი მწირი შესაძლებლობები ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს (რადგან ის ტექნოლოგია, რომელიც დღეს კინოში გამოიყენება, ძალიან ძვირი სიამოვნებაა, რისი საშუალებაც უნივერსიტეტს, ჯერჯერობით, არ აქვს) და სასურველია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვა შესაბამისი თანამედროვე აპარატურით.

— სწავლების პროცესში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გადაიღონ ფილმები. ამ მიმართულებით როგორ აფასებთ მათ საქმიანობას, როგორ ფიქრობთ, როგორია ქართული კინოს მომავალი?

— სტუდენტები პირველი კურსიდანვე იწყებენ ფილმზე მუშაობას. თავდაპირველად ისინი ფოტო სიუჟეტებს აკეთებენ, II კურსიდან კი ფილმზე მუშაობას სწავლობენ. ჩვენმა სტუდენტებმა გარკვეულ შედეგებს მიაღწიეს, რამდენიმე მათგანმა უკვე მიიღო კინოფესტივალებში მონაწილეობა და მნიშვნელოვანი პრემიებიც მოიპოვეს. მაგალითად: ერთ-ერთი ჩვენი სტუდენტის სოფო მიქიაშვილის ფილმმა „ეზო“ ბათუმის საერთაშორისო ქრისტიანული ფილმების ფესტივალზე მიიღო მთავარი პრიზი; რამდენიმე ფილმი გავაგზავნეთ სხვადასხვა ფესტივალზე; ახლა ჩვენი სტუდენტი გიგა ხაინდრავა ბერლინის კინო ფესტივალზე აგზავნის თავის საბაკალავრო ფილმს და იმედი გვაქვს, რომ წარმატებას მიაღწევს.

მინდა აღვნიშნო, რომ ამ მიმართულებით სისტემა ჯერ კიდევ დასახვეწია იმ თვალსაზრისით, რომ საჭიროა, უფრო მეტი დრო დავუთმოთ თითოეულ სტუდენტს. მე მათ პირველივე კურსიდან ვეუბნები, რომ მათი „ფანქარი“ უნდა იყოს კამერა. მართალია, ამის შესაძლებლობა ხშირად არ აქვთ, მაგრამ ახერხებენ საერთო კამერის შეძენას. დღევანდელ დღეს მონტაჟიც აღარ არის დიდი პრობლემა, რადგან კომპიუტერი ყველას აქვს და ამის გაკეთება სახლშიც შეუძლიათ შესაბამისი სამონტაჟო პროგრამის გამოყენებით. წინა კურსის სტუდენტებმა პატარა სტუდიაც კი შექმნეს, რომელსაც „იდიოტები“ დაარქვეს. ერთ-ერთი „იდიო-

მეორე გვერდზე

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲓᲐᲕᲚᲐᲮᲐᲕᲗ „ᲖᲦᲕᲐᲠᲡ“...

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲗᲕᲘᲡᲢᲝᲛᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐᲜ ᲝᲗᲐᲠ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ

საფრანგეთის ქართველთა სათვისტომო — ,,საფრანგეთის ქართული საზოგადოების გული” — ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა 1922 წელს დააარსეს. საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში წითელი არმიის შემოჭრის შემდეგ ეს იყო უცხოეთში შექმნილი პირველი სათვისტომო. იმ პერიოდში დაარსებულ სათვისტომოს, რომლისთვისაც საფრანგეთი, სიმბოლურად, თავისუფლების საუკეთესო გამოხატულებასთან ასოცირდებოდა, ჰქონდა პოზიცია, რომ სწორედ საფრანგეთში გააგრძელებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას იქ ჩასული ინტელექტუალ პოლიტიკოსთა მცირერიცხოვანი ჯგუფის წარმომადგენლები. წარმოშობით ქართველი ფრანგების მესამე თაობისგან შემდგარი ქართველთა სათვისტომო, რომელსაც დღეს ახალი ქართველი ემიგრანტებიც უერთდებიან, ამავე პათოსით ეხმაურება საქართველოს დეოკუპაციისთვის ბრძოლას.

სათვისტომო მუშაობს სამი მიმართულებით: **1. ქართული იდენტურობის შენარჩუნება,** რაც გულისხმობს სათვისტომოს წიაღში უახლესი ქართული ისტორიის ცოცხალი მოგონებების შემონახვას: ა) ქართული რესპუბლიკის დაბადება 1918 წლის 26 მაისს, ბ) 1921 წელს საქართველოს ანექსია, გ) ქართველი ხალხის ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად (მაგალითად: 1924 წლის შეიარაღებული აჯანყება, 9 აპრილის მანიფესტაციები); **2. საქართველოს ინტერესების დაცვა საფრანგეთში,** რაც ითვალისწინებს საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა მობილიზებას საქართველოს ინტერესების გასატარებლად (მაგალითად, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სათვისტომოს მიერ გამოქვეყნებული კომუნიკეებით გამოიხატა პროტესტი რუსი აგრესორის მიმართ); 3. **საქართველოს პოპულარიზაცია და საზოგადოებრივი საქმიანობა** (ამ მიმართულებით სათვისტომოს ინიციატივით არა ერთი ღონისძიება გაიმართა: საფრანგეთის ქართველთა სათვისტომომ ქართველი მსახიობების დახმარებით გამართა კონცერტი პარიზის შუაგულში, რომელსაც 1000-ზე მეტი მაყურებელი დაესწრო. შეგროვებული თანხა გაეგზავნა ლტოლვილებს; განხორციელდა კარალეთის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია; სათვისტომო რამდენიმე წლის მანძილზე იჩენდა ინიციატივას — დახმარებოდა უნივერსიტეტს. აღსანიშნავია, რომ ფრანგული ლიტერატურის განხრის რამდენიმე სტუდენტის სწავლის საფასური თავად გადაიხადა; 2010 წელს თსუ-ში „ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სტიპენდია“ დაარსა; სათვისტომომ სურვილი გამოთქვა მონაწილეობა მიეღო ისტორიულ კახეთში არსებული მე-9 საუკუნის სამონასტრო კომპლექსის რესტავრაციისას და ა.შ.).

სწორედ ამ მიმართულებით საქმიანობაზე ესაუბრა საფრანგეთში ქართველთა სათვისტომოს პრეზიდენტი, პარიზში 1950 წელს დაბადებული, პროფესიით ექიმი ოთარ ზურაბიშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის (ფრანგული ფილოლოგიის მიმართულება) მე-4 კურსის სტუდენტს, 2010 წლის 4 ოქტომბრიდან ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სტიპენდიატს **ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.** მან საფრანგეთში ქართველთა სათვისტომოს პრეზიდენტს წერილობით რამდენიმე კითხვით მიმართა.

— საფრანგეთი, შეიძლება ითქვას, თქვენი მეორე სამშობლოა. როგორია ფრანგი ხალხის დამოკიდებულება თქვენი სათვისტომოს მიმართ, როგორ ხვდებიან ისინი თქვენს წამოწყებებს, გიწევენ თუ არა დახმარებას?

— საფრანგეთში პატრიოტულ საკითხებზე მომუშავე ქართველთა სათვისტომო მთელი ქართული საზოგადოების გაერთიანების სტრუქტურად იქცა.

საქართველოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების დაცვისთვის საზოგადოებრივი აქტივობის ზრდა, მისი მორალური და პოლიტიკური მხარდაჭერა ფრანგებისთვის სავსებით გასაგებია. როდესაც ქვეყანას და მისი მოსახლეობის თავისუფლებას საფრთხე ემუქრება, ფრანგები გვერდით უდგანან აგრესორისგან ჩაგრულ ადამიანებს. როგორც ცნობილია, 2008 წელს ომის პერიოდში მათ საქართველოს მიმართ მხარდაჭერა გამოხატეს.

— როდის გაფორმდა საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის მემორანდუმი? რა მიზნებს ისახავს იგი? საქართველოსთან თქვენი კონტაქტი მხოლოდ ამით შემოიფარგლება?

— საფრანგეთის ქართველთა სათვისტომოსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმი ეფუძნება ორივე მხარის თანამშრომლობის სურვილს. ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ ჩვენი ქვეყნის ყველაზე უფრო დიდი იმედის მომცემ ძალებს — უნივერსიტეტის ახალგაზრდებს. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი ბევრ რამეში დამოკიდებული იქნება საგანმანათლებლო სტრუქტურების გაძლიერებაზე და ხელსაყრელი საუნივერსიტეტო გარემოს შექმნაზე. განათლება არის საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც ყოველ მხრივ მხარდაჭერას საჭიროებს.

— როგორია თქვენი თვალით დანახული დღევანდელი საქართველო?

— ვარდების რევოლუციიდან მოყოლებული, უკვე რამდენიმე წელია ვაკვირდებით საქართველოში მომხდარ რადიკალურ ცვლილებებს. ქვეყანა დიდი სისწრაფით, საბოლოოდ შორდება საბჭოთა მოდელს და გარდაიქმნება დემოკრატიულ და თანამედროვე საზოგადოებად. არც ერთ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკას არ მიუღწევია ასეთი ეფექტური ცვლილებისთვის და ეს მაშინ, როდესაც საქართველომ გადაიტანა 2008 წლის ომი და მისი ტერიტორიის ნაწილი კვლავ ოკუპირებული რჩება.

უცხოელის თვალით დანახული საქართველო წარმოადგენს განვითარების პროცესში მყოფი ქვეყნის სამაგალითო სურათს. იგი ახერხებს ურყევი ტრადიციების შეთავსებას თანამედროვეობისთვის დამახასიათებელ აუცილებელ ცვლილებებთან.

— თუ გაქვთ კონტაქტი საფრანგეთში განათლების მისაღებად მყოფ ქართველ სტუდენტებთან? რას ფიქრობთ, ზოგადად, ქართველ ახალგაზრდებზე?

— საფრანგეთში ქართველი სტუდენტები წარმოადგენენ აქ მცხოვრები ქართული საზოგადოების შემადგენელ ნაწილს და აქტიურად მონაწილეობენ ყველა მანიფესტაციაში. ჩვენი სათვისტომოს წამყვანი კომიტეტი 7 წევრისგან შედგება, რომელთაგან 3 სტუდენტია. ნამდვილად ვამაყობ მათი აქტიურობით და ჩართულობით.

დარწმუნებული ვარ (ამას ხშირად ვიმეორებ), რომ ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის განათლება უმნიშვნელოვანესია, რაც გულისხმობს, რომ აუცილებელია ახალგაზრდობის ხელშეწყობა, რომელიც გამოირჩევა თავისი განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობით და „ხვალინდელი დღისკენ“ სვლის დაუოკებელი სურვილით. ვამაყობ იმით, რომ ვისთანაც მიხდება ურთიერთობა, ისინი განსაკუთრებული სიმტკიცით გამოირჩევიან.

— რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?

— ეს წელი მნიშვნელოვანი წელიწადია, რადგან 90 წელი სრულდება რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციიდან, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენიდან — 20 წლისთავი. აქედან გამომდინარე, ჩვენს მოვალეობად მივიჩნევთ — აღვნიშნოთ საფრანგეთში ეს ისტორიული მოვლენები და მათი საშუალებით გავახსენოთ ყველას, რომ რუსეთის მიერ დადებული ხელშეკრულების დარღვევის შედეგად ქართული ტერიტორიების ოკუპაცია გრძელდება.

— ფიქრობთ თუ არა საქართველოში დაბრუნებას და რა არის თქვენი ყველაზე დიდი ოცნება?

— მე და ჩემი მეუღლე წლის განმავლობაში რამდენჯერმე ჩამოვდივართ საქართველოში. თბილისში შეძენილი ბინის წყალობით საშუალება გვეძლევა დიდხანს დავრჩეთ საქართველოში. მას შემდეგ, რაც ჩემი პროფესიული საქმიანობა ამის საშუალებას მომცემს, დიდი სურვილი მაქვს თავისუფალი დრო ერთნაირად დავუთმო როგორც საფრანგეთს, ისე საქართველოს.

ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა, საქართველო და ქართველი ერი შეძლებდეს ცხოვრებას სავსებით თავისუფლად, მშვიდად... ჩვენ გადავლახავთ ,,ზღვარს” იმ იმედით, რომ, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს მისამართით აღარ ისმოდეს მეზობელი რუსეთისაგან არანაირი მუქარა.

ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲬᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐᲗᲕᲘᲡ

,,საბავშვო უნივერსიტეტის” პროექტის ფარგლებში რეგიონების საჯარო სკოლებში თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები სამეცნიერო-პოპულარული ლექციების გამართვას გეგმავენ. ამ სიახლის დანერგვით შესაძლებელი ხდება რეგიონების საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის იმ პოტენციალის გაცნობა, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშია თავმოყრილი. საინტერესო თემებზე ლექციების მოსმენა მოსწავლეთა მოზიდვასაც უწყობს ხელს იმ თვალსაზრისით, რომ ადგილზე შეთავაზებული ,,მომსახურება” მათ საშუალებას აძლევს სწავლის გასაგრძელებლად უმაღლესი სასწავლებელი გაა ზრებულად შეარჩიონ. ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურა, რა თქმა უნდა, მათი მხრიდან თსუ-ში სწავლის გაგრძელებით დაინტერესებაზეა ორიენტირებული.

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

28 იანვარს თსუ-ის პროფესორებმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი მოსწავლეებისთვის წეროვანის №3 საჯარო სკოლაში წაიკითხეს ლექციები. ასე რომ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა იმ დევნილ ბავშვებზე, რომლებიც „საბავშვო უნივერსიტეტის“ ლექციებზე დასწრებას ვერ ახერხებენ, თავად იზრუნა. პროფესორ ვახტანგ ლიჩელის ლექციის თემა „ქართველები და მათი ძველი კულტურა“ გახლდათ, პროფესორმა რევაზ ლომსაძემ კი ლექცია თემაზე: „ჩვენს გარშემო ფიზიკური პროცესები – ელექტრომაგნიტური ტალღები და ბგერები“ წაიკითხა.

თსუ-ის პროფესორების ლექციებს XI—XII კლასების მოსწავლეები დაესწრნენ. მათთვის, როგორც აბიტურიენტებისთვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების გაცნობა და ლექციების მოსმენა მართლაც რომ საინტერესო და სასარგებლო სიახლე გახლდათ.

„გადავწყვიტე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარო, რადგან ეს უმაღლესი სასწავლებელი სტუდენტებს სრულფასოვანი განათლების მიღების საშუალებებს სთავაზობს. მიმაჩნია, რომ მომავალში დასაქმების მეტი პერსპექტივაც მექნება. რაც შეეხება პროფესორების ვახტანგ ლიჩელისა და რევაზ ლომსაძის ლექციებს, მინდა გითხრათ, რომ დიდი ინტერესით მოვისმინე. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მე ისტორიასაც ვაბარებ და, რა თქმა უნდა, საქართველოს უძველესი კულტურის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება ჩემთვის მნიშვნელოვანია“, — გვითხრა წეროვანის №3 საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლემ ნატო ნათენაძემ.

„საბავშვო უნივერსიტეტის“ გასვლითი ლექციების მნიშვნელობაზე გვესაუბრა წეროვანის №3 საჯარო სკოლის დირექტორი რამინ ჩიტიშვილიც, რომელმაც აღნიშნა: „საკმაოდ საინტერესო და კარგი პროექტია. ჩვენს აბიტურიენტებს საშუალება მიეცათ დაფიქრდნენ — თუ რა პროფესია აირჩიონ და რომელ უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელონ სწავლა“.

წეროვანის №3 საჯარო სკოლაში ლექციების დაწყების წინ ბავშვებს თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნოდარ სურგულაძემ და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილემ ანდრეა ჭულუხაძემ სიტყვით მიმართეს. მათ მოსწავლეებს პროექტის „საბავშვო უნივერსიტეტი“ არსი და მიზანი გააცნეს.

„პროექტი მნიშვნელოვანია, რადგან თსუ-ის პროფესორები მოსწავლეებს თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს გააცნობენ, ასევე, გაუწევენ პოპულარიზაციას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მოსწავლეებში სასწავლო და სამეცნიერო უნარ-ჩვევების გამომუშავებას შეუწყობენ ხელს. პროექტი საყურადღებოა და მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება“, – აღნიშნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა მინისტრის მოადგილემ ნოდარ სურგულაძემ.

პროექტი ორ ეტაპად ხორციელდება: წეროვანის გარდა თსუ-ის პროფესორები ლექციებს კიდევ 7 კომპაქტურ დასახლებაში წაიკითხავენ, პროექტის მეორე ეტაპი კი დევნილი მოსწავლეებისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ექსკურსიას, მისი ისტორიისა და საუნივერსიტეტო ცხოვრების გაცნობას გულისხმობს.

გზა

მერაბ კოკოჩაშვილის „კინოს ენით“ ნათქვამი სიმართლე

მეექვსე გვერდიდან

— რამდენად პერსპექტიულია დღეს კინორეჟისორის პროფესია?

— როდესაც პირველად ჩავედი მოსკოვში, ჩვენმა უდიდესმა რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა მითხრა: შენ გიჟი ხომ არა ხარ, საბჭოთა კავშირში სულ 20 კაცი ვიღებთ კინოს და შენ რა უნდა გადაიღოო.

მიუხედავად ამისა, 1960 წლისთვის უკვე ყველა ჩვენგანმა, ვინც „გიჟი“ იყო, შეძლო და დაიწყო მუშაობა ამ სფეროში და, მოგეხსენებათ, 60-იანი წლების კინომ რა წარმატებებს მიაღწია. მინდა გითხრათ, ესენიც „გიჟები“ არიან. შესაძლოა, მათგან ერთი ან ორი გაყვეს ამ პროფესიას და წარმატებას მიაღწიოს. უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა რეჟისორების მიდგომა რთული, თანამედროვე პრობლემების მიმართ, ხშირ შემთხვევაში, ზედაპირულია. ზოგჯერ მათ მიერ გადაღებულ ფილმებს შვილთან და შვილიშვილთან ერთად ვერც ვუყურებ, მრცხვენია... მაგრამ მჯერა, რომ გარდამავალი ეტაპი გაივლის და აუცილებლად მოხდება ქართული კინოს რეაბილიტაცია. ამასთან, საჭიროა ხელისუფლებამ პრიორიტეტად აქციოს განათლება და კულტურა, რომელიც ცივილიზებული ქვეყნის საფუძველია. მთავარია, ბრბოდ არ იქცეს საზოგადოება, რომელსაც მხოლოდ იაფფასიანი სიუჟეტებით გავართობთ.

კინოს სჭირდება პროპაგანდა. ყოველთვის მერიდებოდა რეკლამა გამეკეთებინა ჩემი ნამუშევრებისთვის. ჩემი ბოლო ფილმი „სახლი სიხარულისა“ მხოლოდ რამდენჯერმე უჩვენეს ტელევიზიით. ზოგიერთს დაწყებული არა აქვს გადაღება და უკვე რეკლამას აკეთებს — აი, რა გენიალური ჩანაფიქრი მაქვსო. ჩვენ სხვა სისტემაში ვართ აღზრდილები და რაღაცები გვეთაკილება, რამაც, შეიძლება, მთელი შრომა წყალშიც ჩაგიყაროს... მჯერა, რომ ახალგაზრდები გამონახავენ სხვა გზებს. ახლაც იღებენ კარგ ფილმებს. მთავარია, მათ მსოფლიო კინოსისტემაში შეაღწიონ. უნდა მოხდეს საერთაშორისო ინტეგრაცია დისტრიბუციის თვალსაზრისითაც.

— თქვენმა სცენარმა კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა. რაზეა ფილმი და როდის დასრულდება მასზე მუშაობა?

— ამჟამად ვიღებ ახალ ფილმს „ღვინის აკვანი“, რომელიც, სავარაუდოდ, ივნისისთვის დამთავრდება. მინდოდა, ფილმში მეჩვენებინა ჩვენი ისტორია, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ღვინოსთან. ღვინო და ქართული კულტურა, ღვინო და ქართული რელიგია, სიმღერა, ცეკვა, მეცნიერება, თამაში, შრომა, ცოდნა — ეს ყველაფერი განუყოფელია ერთმანეთისგან.

ხელოვანისთვის მთავარია სიმართლე, რომელიც სჭირდება საზოგადოებას. ჯერ კიდევ ჰაიდეგერმა თქვა: „ხელოვნება არის ჭეშმარიტების მიერ თავისი თავის დადგინება ქმნილებაში“. ამიტომ ვარ ოპტიმისტი.



ამჯერად, ვახტანგ გორგასლის ნაკვალევზე...

შურთხია ბერეშვილი

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელე-ხელოვნების მიმართულების პედაგოგმა, რეჟისორმა ნინო გელოვანმა და ამავე მიმართულების სტუდენტებმა, რომლებიც გადასაღები კამერით ხშირად „მისდევენ“ წმინდანთა ნაკვალევს, სახელოვან მეომრად ცნობილ და „მეფეებში მარგალიტივით გამორჩეულ“, ლეგენდარულ და წმინდანად შერაცხულ მეფე ვახტანგ გორგასალზე ფილმის გადაღება გადაწყვიტეს, რაც პროექტის — „წმინდანთა ცხოვრება თქვენს თვალწინ ცოცხლდება“ — ფარგლებში განახორციელეს კიდეც. ამ პროექტის მიზანი წმინდანად შერაცხული ქართველი მეფე-დედოფლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ასახვა გახლავთ.

პროექტზე მუშაობა ჯერ კიდევ 2010 წელს დაიგეგმა, რომელიც 2011 წელს განხორციელდება. „ჩვენი მიზანია წმინდანად შერაცხული მეფეების ცხოვრებაზე გადავიღოთ ფილმების სერია, რაც მნიშვნელოვანი იქნება ახალგაზრდების შემეცნებითი ზრდის თვალსაზრისით. სწორედ ამ პროექტზე მუშაობისას დაიბადა იდეა — პირველი ფილმი ვახტანგ გორგასალზე გადაგვეღო. სცენარზე მუშაობის დროს აღმოჩნდა, რომ ბევრმა მათგანმა არც იცოდა, რომ იგი წმინდანად შერაცხეს“, — გვითხრა ნინო გელოვანმა. მისი თქმით, ფილმზე — „ღვთის ერთგულება“ მუშაობა უკვე დაწყებული იყო, როდესაც გადამღებმა ჯგუფმა შეიტყო, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მშობლიურ სოფელ სნოში ვახტანგ გორგასლის ძეგლის გახსნა თავად უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორეს ინიციატივა გახლდათ და მის გახსნას თავადაც ესწრებოდა. ამ ცერემონიალზე დასასწრებად გადამღებმა ჯგუფმა პირადად უწმინდესისგან და ჭყონდიდის მიტროპოლიტ პეტრესგან (ცაავა) კურთხევა მიიღო, რის შედეგადაც სნოში გადაღებული მასალით ფილმი გამდიდრდა.

ძეგლი რამდენიმე წლის წინ აგებული ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძრის მახლობლადაა აღმართული. ისტორიული გადმოცემის მიხედვით, სწორედ ამ ადგილებში შეისვენა ოსეთიდან მომავალმა ქართლის მეფემ. ამ ამბავს ასე იხსენებს ილია მეორე: „იმ დროს, როცა ვახტანგ გორგასალი საქართველოში არ იმყოფებოდა, ოსებმა მას და მოსტაცეს... იგი დადევნებია გამტაცებლებს, გუდამაყრის ხეობით გადმოსულა და ჩვენს მშობლიურ სოფელ სნოსთან შეჩერებულა. სნო ჩვენი წინაპარი იყო. მას ჰყავდა ჩვილი ვაჟი — ღუდუშა. ჩვენში არსებობს გადმოცემა, რომ ვახტანგ გორგასალი სნოს ვაჟის, პატარა ღუდუშას ნათლია გამხდარა. შემდეგ აქედან წარმოიშვა გვარი ღუდუშაური. შეიძლება ამ გადმოცემასაც უკავშირდებოდეს ამ სოფელში ვახტანგ გორგასლის ძეგლის გახსნა.“ ძეგლის გახსნის ცერემონიალზე საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ აღნიშნა: „მეფე ვახტანგ გორგასალი საუკეთესო მაგალითია ნებისმიერი ქართველისთვის თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით, იგი გამოირჩევა დიდი რწმენით, სასოებითა და სიყვარულით. ჩვენ ვადიდებთ მას და შევთხოვთ, რომ მისი ლოცვა-ვედრებით, მისი შუამდგომლობით ღმერთმა გააძლიეროს და დალოცოს, დაამშვიდოს და გააერთიანოს სრულიად საქართველო“.

ფილმის რეჟისორის ნინო გელოვანის თქმით, ფილმში საუბარია ვახტანგ გორგასლის სარწმუნოებრივ ცხოვრებაზე. „იგი გამორჩეული მეფე იყო და საოცარი ანდერძიც დაგვიტოვა: „ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა!“ ვახტანგ გორგასალი ქრისტესთვის ცხოვრობდა და გზად მიმავალი ჯვრებს აღმართავდა, სამლოცველოებსა და ეკლესიებს აგებდა. მან საკუთარი გულიც ღვთის ტაძრად აქცია. თითქმის ყოველ დღე სიკვდილს უყურებდა თვალებში, მაგრამ ყოველთვის უფლის ერთგულად რჩებოდა. სიკვდილამდე ღვთის ერთგულება და თავგანწირვა აძლევდა მას გოლიათურ ძალას“, — ამბობს ფილმის გმირზე რეჟისორი.

სცენარის ავტორებმა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელე-ხელოვნების მიმართულების სტუდენტებმა ქეთი ქებაძემ, მედეა გაგუამ და ფილმის რეჟისორის ასისტენტმა თამთა იობაიამ მუშაობის პროცესში საკმაოდ მდიდარ მასალას მოუყარეს თავი. პროექტის ავტორებმა კი ნინო გელოვანმა, უჩა ჯღამაძემ, გიორგი ლიქოკელმა და ბექა ახლოურმა „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკების შესწავლის გარდა კონსულტაციისთვის თსუ-ის პროფესორებს: თეიმურაზ პაპასქირს, თედო დუნდუას, კულტუროლოგ გია პაპუაშვილსაც მიმართეს. პირველ რიგში კი სასულიერო პირებს სთხოვეს დახმარება.

„ჩვენი მიზანი იყო აქცენტი გაგვეკეთებინა ვახტანგ მეფის სულიერ ცხოვრებაზე, მაყურებლამდე მიგვეტანა აზრი, თუ რატომ იყო იგი წმინდანი. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სწორედ მისი მეფობის დროს მოიპოვა საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია; მისი მეფობის პერიოდში დაარსდა მრავალი ქალაქი, მათ შორის თბილისი, უჯარმა, არტანუჯი, ხორნაბუჯი; აშენდა ნინოწმინდის, ჩელეთის, ხორნაბუჯის, ნიქოზის ტაძრები; განახლდა სვეტიცხოველი, სადაც წმინდა ნინოსა და მირიან მეფის დროინდელი ხის ეკლესიის ადგილზე ქვის ბაზილიკური ტაძარი ააგეს. რაც მთავარია, მეფემ დაგვიტოვა ანდერძი: „სიკვდილამდე ღვთის ერთგულება“, რომელიც პირველმა მან აღასრულა. რა თქმა უნდა, ათწუთიან ფილმში ამის სრულად გადმოცემა არც ისე ადვილია, მაგრამ შევეცადეთ, მთავარ მოვლენებზე გაგვემახვილებინა ყურადღება“, — გვითხრა ქეთი ქებაძემ.

ფილმის ოპერატორია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი ერეკლე მუმლაძე, რომელმაც ფირზე ასახა ისტორიული ადგილები, მათ შორის, სნოში აგებული ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარი და თბილისში სიონის ტაძარი. უცნობი მხატვარი კი, რომელიც რუსთაველზე ვახტანგ გორგასალს გატაცებით ხატავდა, ოპერატორმა ბესო ბახტურიძემ გადაიღო.

„ფილმზე მუშაობის პროცესში უცნაურობებიც ხდებოდა: ხშირად ვხვდებოდი ისეთ ადგილებში, სადაც საუბარი ვახტანგ გორგასალს შეეხებოდა და მის შესახებ ახალ ინფორმაციას უნებურად ვიგებდი. შეიძლება ითქვას, რომ წმინდა მეფის შემწეობას ყველა ჩვენგანი გრძნობდა“, — ამბობს ნინო გელოვანი. აღსანიშნავია, რომ 4 იანვარს, უწმიდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის დაბადების დღეს რეჟისორს საშუალება მიეცა მისთვის საჩუქრად გადაეცა დისკი, რომელზეც ფილმი და სარეკლამო რგოლები (მოქვის სახარებისა და ბრეთის) იყო ჩაწერილი.

უნდა ითქვას, რომ თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელე-ხელოვნების მიმართულების სტუდენტების შემოქმედებითი გეგმების განხორციელება თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის დახმარებით გახდა შესაძლებელი. ფილმის რეჟისორი თანადგომისთვის დიდ მადლობას უცხადებს ფაკულტეტის დეკანს დარეჯან თვალთვაძეს და მიმართულების ხელმძღვანელს მერაბ კოკოჩაშვილს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილმის — „ღვთის ერთგულება“ პრემიერა 2011 წლის მარტისთვის არის დაგეგმილი. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, უახლოეს პერიოდში რეჟისორი ნინო გელოვანი თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტთან ერთად კლიპის გადაღებას გეგმავს. „სწავლა და შენი საინტერესო არჩევანი“ — ასეთი იქნება კლიპის სლოგანი, რომელშიც სტუდენტების შემოქმედებითი საქმიანობა აისახება. ერთი რამ ნათელია, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კონო-ტელე-ხელოვნების მიმართულების სტუდენტებისგან თანატოლები კიდევ მრავალი საინტერესო პროექტებისა და იდეების განხორციელებას ელიან მით უფრო, რომ ასპარეზი მათ ხელთაა...

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედკოლეგიის წევრები:	მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 11 (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური, ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი	
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		
ფოტოკორესპონდენტი	ლიკა პეტრიაშვილი		
კომპიუტ. უზრუნველყოფა	გიორგი წიქარიშვილი		22 36 62